წელიწადი მეორე ფასი 10 კაპ. კვირა, 25 ქრისტეშობისთვე 1916 წ. № 289

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კ., უკანასკნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

მიიღება ხელის მოწერა

ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

1917 წ. წელიწადი მესამე

## „საქართველო“

1917 წ. წელიწადი მესამე

ყოველკვირეულ სურათებიან დამატებით

გაზეთი არის ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურს ცხოვრებას: ვაჭრობა-მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის წარმატებას, საპროფესიო და სატეხნიკო ცოდნათა გავრცელებას.

გაზეთს საკუთარი კორესპონდენტები ჰყავს საქართველოს მნიშვნელოვან დაბა-ქალაქებსა და სოფლებში და აგრეთვე პეტროგრადსა და მოსკოვში.

გაზეთში უახლოეს თანამშრომლობას ეწევიან:

ავ. აბესაძე, ი. აბულაძე, არქ. ამბროსი (ხელაია), დ. არაყიშვილი, ა. ახათიანი, ალ. აბმეტელი, ვ. ბარნოვი, ივ. ბუქურაული, მკ. გაბაშვილისა, რ. გაბაშვილი, განდეგილი, ბ. გვაზავა, ს. გორგაძე, ვ. გორდეზიანი, ვ. გუნია, შალვა დადიანი, ზ. ედილი, ი. ვართაგავა, გრ. ვეშაპელი, ექ. თაყაიშვილი, ინ-ბანი, პ. ინგოროყვა, ჩ. კაპანაძე, პოლ. კარბელაშვილი, დ. გ. კარიჭაშვილი, დ. კასრაძე, დ. კახელი, ს. კედია, დეკ. კ. კეკელიძე, ნ. კურდღელაშვილი, Legatus, ეპისკოპოსი ლეონიდე, იას. ლორთქიფანიძე, ნ. ლორთქიფანიძე, ტ. მარგველაშვილი, კ. მაყაშვილი, ი. მაჭავარიანი, დუტუ მეგრელი, მელანია, შ. მღვიმელი, ნიკო ნიკოლაძე, გ. ყორღანია, გრ. რობაქიძე, თედო სახოკია, ტ. ტაბიძე, ი. ფერაძე, შ. ქარუმიძე, ს. ქვარიანი, გ. ქიქოძე, ნ. ყიფიანისა, სვ. ყიფიანი, ვ. ყიფშიძე, მიხ. შალამბერიძე, ვ. შალიკაშვილი, პროფ. ა. ცაგარელი, აპ. წულაძე, დ. ჭიაბრიშვილი, ზ. ჭიჭინაძე, სტეფ. ჭრელაშვილი, მ. ჯანაშვილი, ლ. ჯაფარიძე, სამხედრო მიმ. ბ-ნი X.

**გაზეთის ფასი:** მთელის წლით—15 მან., ნახევარის წლით 9 მან., სამის თვით 5 მან., ერთის თვით ქალაქში 1 მ. 80 კ.

ქალაქ გარეთიდან გაზეთის გაწერა ერთის თვით ფოსტის საშუალებით არ მიიღება.

არა წლიურ ხელის მომწერთათვის გაზეთი თვის პირველ რიცხვიდან იგზავნება ნაწარმოებში. წლიურ ხელის მომწერთათვის ფასის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება შემდეგის წესით: ხელის მოწერის დროს 7 მან., პირველ მარტისათვის 5 მან. და პირველ ივნისისათვის 3 მან.

ვისაც სურს გაზეთის გაწერა წლიურად, ეს უნდა მოიხსენიოს პირველსავე ხელის მოწერის დროს. ✦ რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ✦ კანტორა ღიაა: დილით 9—3 ს.-დე. საღ. 5—7-დე.

რედაქტორი: სანდრო შანშიაშვილი. გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო“.

მიიღება ხელის მოწერა

---

ქვაშვეთის მღვდელი ერასტი ფხალაძე მეუღლით და შვილებით ამით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მისი დაუვიწყარი დედის

**ნატალია (ერასტი ნაცვლიშვილის ასულის)**

## ფხალაძისა

სულის მოსახსენებლად გარდაცვალებიდან ორმოცი დღის თავზედ წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება ქვაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში სამშაბათს 27 დეკემბერს დილის 9 ნახ. საათიდან.

(1—450—1)

---

27 ქრისტეშობისთვეს, სამშაბათს დღეს ქალაქ ფოთის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

**კონსტანტინე იაგორის ძის**

## რუხაძის

სულის მოსახსენებლათ, რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ქვრივი განსვენებულისა ეფროსინე ილარიონის ასული და შვილი შალვა რუხაძეები. პანაშვიდი ნაწირვებს 12 საათზე.

(2—441—2)

---

## დილის წარმოდგენა

### ახალ კლუბის შენობაში

ორშაბათს, 26 ქრისტეშობისთვეს, ქართულ დრამატ. საზოგ. დასის მიერ ვ. გამყრელიძის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება: **სამშობლო** დრ. 5 მ. და 6 სურ. დ. ერისთავისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი აბაშიძე, დავითაშვილი, ქილარჯიშვილი, ბ-ნნი: იმედელი, ბარველი, გამყრელიძე, გვარაძე, ზარდალიშვილი, ფრონისპირელი, თარალაშვილი, ჩაგუნავა.

ადგილების ფასი 170—30 კ.-მდე. ✦ დასაწ. დილის 12 საათზე.

ადმინისტრაცია ქართ. დრამ. საზოგადოებისა.

(3—342—3)

---

## ქ. თბილისში დაარსდა მელნის ქარხანა „ალაროდია“

ამზადებს საუკეთესო საკანცელარიო მელანს, ალიზარინის ფერისას

პირველხანად ქარხანა გაჰყიდის მელანს ორ-ორ გირვანქიან ბოთლებით.

ლაზარეთებს და სამხედრო დაწესებულებათ შეღავათით დაეთმობათ.

მელანი პირის გადასაღებადაც (კოპიროვკა) კარგია.

დაკვეთა დაუყოვნებლივ სრულდება

ადგილობრივ თუ გაგზავნით.

საჭიროა აგენტები, როგორც თბილისში, აგრეთვე სხვა დაბა ქალაქებშიაც.

**მისამართი:** თბილისი, მოსკოვის ქუჩა, № 16, „ალაროდია“.

(თ.—228—თ.)

---

გამოცემა ქნ. ეკატერინე მიხ. ერისთავისა.

## ნ. ბარათაშვილის ლექსები და წერილები სრული აკადემიური გამოცემა სურათებით

გამოცემაში დაიბეჭდება სრული ტექსტი ერთის ვარიანტისა და აღნიშნული იქნება ყოველი, სულ მცირე განსხვავებაც, დანარჩენ ვარიანტებისა.

წიგნს დართული ექნება ვრცელი ბიოგრაფია და წერილები ნ. ბარათაშვილის შემოქმედების შესახებ:

ს. გორგაძის—„ნ. ბარათაშვილის ლექსის ფორმა“.
ე. თაყაიშვილის—„ხელთნაწერის მიმოხილვა“.
ნ. დუბროვსკის—„მსოფლიო სევდა და ნ. ბარათაშვილი“.
ი. მეუნარგიას—„ცხოვრება და პოეზია ნ. ბარათაშვილისა“.
გრ. რობაქიძის—„ნიკო ბარათაშვილი“.
დ. უზნაძის—„პოეტის სული“.

გარდა ამისა თვითეულ ლექსს ექნება დაწვრილებითი ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული განმარტება.

წიგნი შემკული იქნება სამოცზე მეტი სურათით (იმ ადგილებისა და პირების, რომელნიც მოხსენებულნი არიან ნ. ბარათაშვილის ლექსებსა და წერილებში) და პოეტის მრავალი ავტოგრაფით.

სარედაქციო კომისიაში მონაწილეობას იღებენ: კ. აბაშიძე, ი. გრიშაშვილი, ი. გედევანიშვილი, გრ. დიასამიძე, გ. ვეზირიშვილი, ნ. ერისთავი, გ. ლასხიშვილი, ი. ნიკოლაძე, გ. ქურული, დ. შევარდნაძე, ს. ფირცხალავა.

**წიგნის ფასია ხელის მოწერით სამ მანეთ ნახევარი (3—50)**

სუმასი ცალი დაიბეჭდება სქელ ქაღალდზე და ეღირება 5 მან.

✦ წიგნი გამოვა 1917 წლ. აპრილში. ✦

ხელის მოწერა მიიღება თბილისში—წ.-კ. საზოგადოების მაღაზიაში და „სახალხო ფურცლის“ კანტორაში; ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან, იას. ბაქრაძესთან და პ. ყიფიანთან; ბათომში—სიმ. მდივანთან და კოტე კობახიძესთან; ფოთში—ლ. ჯაფარიძესთან; სამტრედიაში—ის. სტურუასთან; ხონში—მოს. ჭელიძესთან; სოხუმში—პლ. გელოვანთან; თელავში—ივ. პაატაშვილთან; გორში—სიმონ მაჭავარიანთან. ჭიათურაში—თ. ჯაფარიძესთან. საჩხერეში—ანეტა იურკევიჩთან. ფოსტით გამოწერა შეიძლება ამ ადრესით: თბილისი. „სახალხო ფურცელი“.

(ქვ.—257—6)

---

გამოცემა „ამხანაგობისა“

გამოვიდა და იყიდება ყველგან

## „ბედი ქართლისა“ ნიკ. ბარათაშვილის

სრული ფაქსიმილე

ფასი ერთი მანეთი.



წიგნი წარმოადგენს სრულს ასლს ნ. ბარათაშვილის ხელნაწერისას (ვეზირიშვილის ვარიანტი).

ვისაც ფოსტით უნდა გამოწერა, უნდა მიმართოს: Тифлисъ Бол. Ванкская № 12. ივანე მათეს ძეს ნაცვლიშვილს.

---

დეკემბრის ბოლო რიცხვებში თბილისში გამოვა

სამხატვრო-სალიტერატურო კრებული

## საფირონი

კრებულში მონაწილეობას იღებენ:

ალ. აბმეტელი, ბაბილინა, განდეგილი, შალვა დადიანი, მოსე თოიძე, თ. იანელი, ინ-ბანი, დ. კასრაძე, გ. ლეონიძე, კ. მაყაშვილი, შიო მღვიმელი, გ. მუმლაძე, ნარკანი, აკაკი პაპავა, ტრ. რამიშვილი, ს. ფაშალიშვილი, ლეო ქიაჩელი, გერონტი ქიქოძე, სანდრო შანშიაშვილი, ვალ. შალიკაშვილი, ლელი ჯაფარიძე, მ. ჭიაურელი, და სხვ.

მისამართი: თბილისი. ნიკოლოზის ქ. № 7. სანდრო შანშიაშვილს.

პროვინციის აგენტებმა წინდაწინვე უნდა გვაცნობონ, თუ რამდენ ეგზემპლიარს გაიწერენ.

რედაქტორ-გამომცემელი გ. ლეონიძე.

---

## „ცისფერი ყანწები“

დაიბეჭდა.

### მოიკითხეთ კვირას, 25 დეკემბერს.

ვალერიან გაფრინდაშვილი—„ძონძებში“.
ი. გრიშაშვილი—„შეშლილი ოთახი“.
ელენე დარიანი—„მე და კატა“.
პაოლო იაშვილი—„ფარშავანგები ქალაქში“, „ჭლექიანი მისალმება ზამთარს“.
ნ. ლორთქიფანიძე—„ზღაპარი“.
ნიკოლოზ ნადირაძე—„ავზნიანი ქალაქი“.
გრიგოლ რობაქიძე—ვერის ხიდზე“.
ივ. ყიფიანი—„ზამთარი“.
გრ. ჯაფარი—„ოცნება ფირუზისფერი“.
ლელი ჯაფარიძე—„ორსული მზე“.
ალ. ცირეკიძე—„მთვარეული“.
ა. ჭუმბაძე—აეროპლანზე“.
ტიტე ტაბიძე—„ქალდეას ქალაქები“.
ტიტე ტაბიძე—„ცისფერი ყანწებით“.

ფასი ერთი მანეთი.

იყიდება ახალ კლუბთან სიმონას კიოსკში.

---

ექიმი

## ფონ-ირტელი

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი ელექტრონიკისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრაწასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^1/_2$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

ერლიხის „914“ და „606“ შეშხაპუნება

---

ექიმი

## კ. ი. მეარჯულაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

---

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოზის ძე

## კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

---

ექიმი

## მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

---

## შემთხვევით

✦—✦ იყიდება ✦—✦

### ვერცხლის სამოვარი

ყოველივე მოწყობილებით.

დ. ს. არღუთინსკის მაღაზიაში სომხის ბაზარი № 24.

(1—449—1)

---

ექიმი

## მ. ი. ჭანჭაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბებუთოვის ქ. № 4. (თ.—202—)

---

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

## ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

---

ექიმი

## გ. მ. მუხაძე

მოსკოვში წასვლის გამო ავადმყოფების მიღება შესწყვიტა 28 ქრისტეშობისთვემდის.

# სახალხო სახლი

სამშაბათს, 27 ქრისტეშობისთვეს, 1916 წელს.

სცენის მოყვარეთა ფონდის გასაძლიერებლად

გაიმართება წარმოდგენა შემდეგის პროგრამით:

1. **მსხვერპლი** მარტო I მოქ. დრ. ი. გედევანიშვილისა.

2. **არივ-დარია** ვოდევილი I მოქმედ. ვ. გუნიასი.

3. **საკონცერტო განყოფილება**

საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ: მოხეტიალე მუსიკოსი სკრიპკაზე დამკვრელი ილ. ქურხული, დ. ლექავა, მ. ჭიაურელი, ძიმისტარაშვილი, პეტროსიანი და სხვა...

წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ სცენის მოყვარეთა მთელი დასი და თანამშრომელნი.

ადგილების ფასი 20 კ.-დგან 149 კ.-დე. ✦ დასაწყისი სალ. სწორედ 8 საათზე.

(1—447—1) რეჟისორი კ. შათირიშვილი.

# ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი, № 163, საზამთრო შენობა)

ორშაბათს, 26 ქრისტეშობისთვეს,

**სინემატოგრაფი, სიმებიანი ორკესტრი**

სამშაბათს, 27 ქრისტეშობისთვეს,

**ოპერეტკა**

რუსულ ენაზედ ბ. ბაუშევის რეჟისორობით.

ოთხშაბათს, 28 ქრისტეშობისთვეს,

ქართული წარმოდგენა

**შენი ჭირიმე**

3 მოქმედებ. შ. დადიანისა.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე. ✦ სტუმრები საზოგადო წესით.

(1—345—1)

# ახალი კლუბი

## ერთი კვირის პროგრამა

26 ქრისტეშობისთვიდან 1916 წ.

**ორშაბათს**

დილით: ქართული წარმოდგენა

**„სამშობლო"**

საღამოთი—ოპერეტა.

**სამშაბათს**

**დილა** პოეტ ბარათაშვილისა.

საღამოთი **სიმფონ. კონცერტი** მ. ა. ვოლფ-იზრაელის ლოტბარობით.

**ოთხშაბათს**

**სინემატოგრაფი, სიმებიანი ორკესტრი**

**ხუთშაბათს**

**ქართული წარმოდგენა**

**პარასკევს**

**ოპერეტა**

ბილეთები 1 მ. 70 კ.—50 კ.-დე.

**შაბათს**

**ახალ წლის მიგებება**

**კვირას**

— — — — — — —

დასაწყისი: კონცერტებისა სალ. 9 საათზე.

„ წარმოდგენ. „ $8^1/_2$ საათზე.

„ სინემატოგრაფისა „ $8^1/_2$ საათზე.

სტუმრები იხდიან კლუბში შესასვლელ ფასს: მამაკაცები 1 მან., მანდილოსნები და სტუდენტები (ფორმით) 50 კაპ.

# ახალ კლუბის დარბაზში

ოთხშაბათს, 28 ქრისტეშობისთვეს,

თბილისის უმაღლეს სასწავლებლის მსმენელი ქართველი ქალები მართვენ

ლიტერატურულ-მუსიკალურ

**დილას**

**ნიკოლოზ ბარათაშვილის** ხსოვნის აღსანიშნავად.

დასაწყისი დილის 12 საათზე.

ბილეთები იყიდება კურსების შენობაში დილის 10 საათიდან—1 საათამდის (ანასტასიის ქუჩა № 22) და „ძმურ ნუგეშში", საღამოს 6 საათიდან 10 საათამდის, ხოლო თვით წარმოდგენის დღეს, ახალ კლუბის შენობაში დილის ათი საათიდან. (1—ფ.)


# ჩვენი შობა

იყო და აღარ არის! ქრისტეს შობა **მთელ** საქართველოის დღესასწაული იყო და ქრისტიანობა კიდევ—ერთობილის საქართველოის განსრულებული ეროვნება. შობა ქრისტესი თანაბარის მხურვალებით განათობდა საქართველოს კიდითი-კიდე და ქართველ მოდგმის **მთელი** ჩამომავლობა, დიდი, თუ პატარა, ქალი, თუ კაცი ქრისტეანობაში ჰპოებდა რელიგიური სინიდისის ნათესაობას და საერთო ეროვნული სულის სიმტკიცეს. ეროვნული იყო აღმაფრენა, რადგან ერთი იყო რელიგიური ღმერთი, და ღმერთი იგი სავსებით ჰფარავდა ეროვნულ ღმერთსა! ქართველთა სარწმუნოება უკლებლივ **ეროვნული იყო.**

საქართველოს ისტორია მრავალ საუკუნის მანძილზე ამ სახით უქმობდა და დღესასწაულობდა ქრისტეს შობას. რა დიდი აზრი ჰქონდა ამ ჟამთა სირგძეზედ ქართველის უზენაესი სინიდისის—სარწმუნოების — სჯულმდებელის, ნაზარეველის—შობას!.. მაგრამ ამ ქვეყნად „რა არს ფერ უცვლელ!"

კაცთა მოდგმის რელიგიურად დაპყრობაში ქრისტეს მაჰმადი შეედავა და დაირღვა საქართველოს რელიგიური მთლიანობაც. ქრისტიანიზმი აღარ არის სიმბოლო მთლიანის ეროვნებისა. ქრისტეს შობა აღარ არის დღესასწაული მთელის საქართველოსი. ქრისტიანობა ვეღარ მოჰფენს რელიგიურ სითბოს ყოველ ქართველს.

ნახევარი საქართველო—მაჰმადიათა საქართველო რელიგიურად ჩვენთან ერთად ვერ იხარებს! და იგი საქართველო ხომ ჩვენი კაცად-კაცობის, ჩვენის კულტუროსნობის სულმნათი კალატოზია! და შობის დღესასწაული საქართველოს ერთი ნაწილის დღესასწაული იქნება მხოლოდ! ჩვენ-კი, შეერთებულად აღდგენილს, მთლიანს საქართველოს ვეტრფით და მისი სიმბოლიური დღესასწაული გვწყურიან! ამიერიდან სარწმუნოება ვერ გამოსთქვამს უკლებლივ ქართველის ეროვნებას, მთელ საქართველოის გულის ზრახვას. რელიგიის შობილი ღმერთები ვერ შეგვაერთებენ. ხსნა მხოლოდ ეროვნების ღმერთშია, რომელიც უნდა იშვას. ამ ღმერთის წინაშე ქედი უნდა მოიხაროს ქრისტემაც და მაჰმადმაც და მუნ მუდმივი შერიგების წყარო სვან! დღეს ღმერთი-ეროვნება ღმერთ-სარწმუნოებაზე მაღლა სდგას. მხოლოდ მისი შობა დაგვიბრუნებს დღესასწაულს, რომელშიაც მაჰმადიანი და ქრისტიანი ქართველი, რომელშიაც მთელი საქართველო, გულსავსებით იხეიმებს. ამ შობას გილოცავ, ქართველო, მხოლოდ ამ შობას, ახალ შობას!

ს. ქედია.

# საზავო ოინები

გერმანეთის საზავო კამპანიამ ბევრგან განცვიფრება გამოიწვია და უფრო კი—მოწინააღმდეგეთა ბანაკში. საყოველთაო ყურადღება სამხედრო ფრონტისაკენ იყო მიპყრობილი და არავინ ჰფიქრობდა, თუ მაკენზენთან ერთად გერმანეთის დიპლომატიაც წამოიწყებდა გაბედულ ოპერაციებს. ამასთანავე, ეს დიპლომატია სამუდამოდ სახელ-გატეხილად იყო მიჩნეული და მისგან საშიშო რამ ოინებს არავინ მოელოდდა.

გერმანეთმა აქაც დაარღვია ტრადიცია და დიდი ხნობით გამეფებული წესი. ევროპის სახელმწიფოებმა მთელი კოდექსი შექმნეს ურთიერთ შორის დამოკიდებულების მშვიდობიანობისა თუ ომიანობის დროს. ასეთს ნორმებს მათ საერთაშორისო უფლება უწოდეს და მის წინაშე აქამომდე ყველა ევროპის სახელმწიფონი მუხლმოყრითა და მოწიწებით იხრიდენ ქედს. დაიწყო ომი და ევროპის სახელმწიფოებმა თავისივე ხელით გაანადგურეს ეს მათი ქმნილება. გერმანელებმა არაფრად მიიჩნიეს ბელგიის თუ ლუქსემბურგის ნეიტრალობა. ასეთივე ბედი ეწია საბერძნეთის თუ სპარსეთის ნეიტრალიტეტს მრისხანე მეომართა ხელში. ასე დაირღვა საერთაშორისო უფლების ნორმები ხმელეთსა თუ ზღვაზე, ევროპასა თუ შორეულს აღმოსავლეთში.

ეხლა ჯერი ზავზე მიდგა. მასაც აქვს ერთგვარი ტრადიცია, წესი და მორალი. აქამომდე მიღებული იყო, რომ ზავს დამარცხებული მხარე მოითხოვდა. გერმანეთის მოწინააღმდეგენი კი დამარცხებულნი არ არიან და არც ზავს მოითხოვენ, თუმცა გერმანელთ მთელი სამეფოები—ბელგია, სერბია, მთაშავეთი და რუმინეთი დაიპყრეს და რუსეთის და საფრანგეთის გმიშვნელოვანი ნაწილები დაიკავეს, მაგრამ მათს წინააღმდეგ ამხედრებული კოალიაცია თავს დამარცხებულად სრულიად არ სცნობს და საბოლოო გამარჯვების იმედს არა ჰკარგავს.

გერმანელთა იმპერატორი კი ამავე დროს გამარჯვებულ პოზას ჰილებს და იუპიტერისებურ კილოთი კაცობრიობას მშვიდობიანობას უკარნახებს. ჩვენი მტრები აქაც არ გამოსულან უანგარო ნიჰილისტებად. საზავო ადათის დარღვევით მათ ახალი სამკალი გაიჩინეს. ჯერ ერთი, მათ ნეიტრალ სახელმწიფოებთან დიპლომატიური ფრონტის გასწორება მოინდომეს. აქამომდე ის მხოლოდ დიდგულობდა და ყველას ემუქრებოდა. ეხლა მან ეს საზავო ანკესი გადისროლა და აკი გასჰრა ამ ოინმა:—ამერიკა, შვეიცარია და სკანდინავიის სახელმწიფონი გერმანეთის გამოსვლას გამოეხმაურნენ. გერმანელთ კიდევ სხვა გვარი ეფექტის მოხდენა სწყუროდათ. სურდათ თავიანთ მტრებ შორის უთანხმოება დაეთესათ. მათ კარგად უწყიან, რომ მებრძოლ სახელმწიფოთა შორის ომით გამოწვეული გასაჭირი და სიძნელე თანასწორათ არ არის განაწილებული. იქნება, იმის იმედიც კი ჰქონდათ, რომ საზავო იმედების აღძვრით მოწინააღმდეგე ხალხთა ერთსულოვნობა დაირღვევოდა, საზოგადოების ნაწილი ზავს მოითხოვდა და მით თავიანთ მთავრობის წინააღმდეგ გაილაშქრებდა.

ეხლა უკვე საეჭვო აღარ არის, რომ, ყველა ამ მიზნებს გარდა, გერმანელთ კიდევ ერთი რამ სურვილი ასულდგმულებდა, როდესაც იმპერატორი ვილჰელმი თავისს მტრებს მშვიდობიანობისკენ მოუხმობდა.

მეომარ სახელმწიფოებში ფულის ღირებულობა ყოველგან დაეცა. მაგრამ, რასაკვირველია, არა ერთნაირად. გერმანეთი, კერძოდ, მეტად მძიმე პირობებში ჩავარდა იმით, რომ ინგლისის ბლოკადის გამო გერმანეთიდან შორეულ ქვეყნებში საქონლის გაზიდვა მეტად შემცირდა. ასეთს პირობებში გერმანულ მარკის კურსი, რასაკვირველია, დაიკლებდა და მართლაც მიმდინარე წლის მხოლოდ რამოდენიმე თვის განმავლობაში ნიუ-იორკის ბირჟაზე მარკის კურსს $76^1/_4$-დან 69 ცენტამდე დაუწევია. ასეთსავე კლებას განიცდის მარკის კურსი ამსტერდამის, კოპენჰაგენის თუ სხვა ნეიტრალ სახელმწიფოების ბირჟებზე.

მარკის კურსის ასეთი სისტემატიური დაცემა უთუოდ კატასტროფალური შეიქმნებოდა გერმანეთის ეკონომიური ვითარებისთვის. ეკონომიური ძლიერება კი ყველაზე უფრო უტყუარი საფუძველია თანამედროვე სახელმწიფოთა ყოველგვარის ძლიერებისა და, რასაკვირველია, სამხედროისაც. თანამედროვე ომის მსვლელობა სავსებით გვარწმუნებს, რომ ბრძოლიდან გამარჯვებული ის მხარე გამოვა, რომელსაც მეტი ქონებრივი გამძლეობა და ძალა შესწევს.

გერმანელებს ამ საზავო ფანდებით სხვათა შორის, მარკის კურსის გასწორებაც განუზრახავსთ და, მართლაც, მიზნისათვის რამოდენიმედ კიდეც მიუღწევიათ. მხოლოდ სამიოდ კვირის განმავლობაში ამერიკის ბირჟაზე მარკის კურსი 69-დან $75^1/_2$ ცენტამდე ასულა. ასეთივე ტემპით უმატნია გერმანულ ვექსილის და ფულის კურსს სხვა ნეიტრალ სახელმწიფოებში.

რასაკვირველია, გერმანელები, ჩვეულებისამებრ, ამ დიპლომატიურ გამარჯვებასაც დიდს მნიშვნელობას მიანიჭებენ... აქამომდე ყველასაგან ათვალწუნებული გერმანული დიპლომატია ეხლა უთუოდ გამარჯვებას დღესასწაულობს.

ე. მალი.

# მაკიაველიდან

სახელგანთქმულ ფლორენციელს იცნობენ ნამეტნავად როგორც დიპლომატს, ქვეყანა რომ ცბიერ—მაკიაველურ ჰკუაზედ დააყენა, იმ ჰკუაზედ, დღეს მეომარ სახელმწიფონი რეალ—არსებით ინტერესთა პოლიტიკას რომ უწოდებენ.

მაგრამ, ვისაც მაკიაველის ჭეშმარიტ სახის ნახვა ჰსურს, ისიც უნდა გაიგოს, რომ მაკიაველი ახალ იტალეთის პირველი მამულიშვილი—პატრიოტი იყო... 1469 წელს დაბადებული, როდესაც ულონო სამთავროებად გაყრილ იტალეთის მშვენიერ ტანს მხეცი—უცხოელები ასახიჩრებდნენ და რყვნიდნენ, მაკიაველი თავისს ფიცხ ფიქრს მისთვის ჰსწევმდა, რომ დამონებულ იტალეთის ეროვნულ სახელმწიფოდ აღდგომისათვის გზა ეძებლია... იგი ნათლად ჰხედავდა, როგორ უნდა გამოცვლილიყო პოლიტიკური რუკა და როგორ უნდა დაგლეჯილიყო ძველ სახელმწიფოთა ტანი, მხნე-ძლიერების ხარბი, ახალი ეროვნული სახელმწიფო რომ აღმართულიყო... მაკიაველი ნათლად ჰხედავდა, რომ მის იდეის ხორცის შესასხმელად საჭირო იყო ერთის ხელისუფალის, მონარქისის ნებაზედ მიყოლა... მაკიაველი ელოდდა ამ დამხსნელ მეფეს და სწორედ მისთვის დასწერა ნაციონალისტურ მანიფესტად მისაჩნევი:

„მოწოდება ბარბაროსთაგან განთავისუფლებისათვის"*)

„ხელსაყრელია თუ არა დღევანდელი დღე, იტალეთში რომ ახალი ბრძენი და ვაჟკაცი მეფე გაჩნდეს და თავის სასახელოდ და მთელის ხალხის საბედნიეროდ ჩვენი მხარე რომ განაახლოს?—მჯერა, რომ ამაზედ უფრო მარჯვე დრო წარსულშიაც არა გვქონია... თუ ებრაელთა ერს ეგვიპტეს მონობაში ქანცი უნდა გასწყვეტოდა, რომ მოსეს მხნეობა გამოცხადებულიყო; თუ სპარსნი მიდიელთ უნდა დამონებოდნენ, კიროსის სულის სიდიადე რომ გამოჩენილიყო—სწ ნს, ჩვენის დამხსნელის გამოსაცხადებლად საჭირო ყოფილა, რომ ბარბაროსთაგან წალეკილი უმოძღვრო იტალეთი ებრაელებზედ უფრო მეტად დაჩაგრულიყო და სპარსელებზედ უფრო მეტად დაკირთულიყო, რომ ტანჯულის ერის ძლიერი მხსნელი მოვლენილიყო... აქამდისაც გაულევია ზოგჯერ ჩვენთვის და ამ ელვის შუქზედ გამოცხადებულან ღვთისაგან რჩეულნი, მაგრამ ბედითი ბედს გაუჩერებია ისინი თავიანთ ღვაწლის აღსრულებამდის; და ცოცხალ-მკვდარი, არაქათ გამოლეული იტალეთი სულ კიდევ ელის დამხსნელს, რომელმაც უნდა მოსპოს ძალმომრეთა ანგარება და განჰკურნოს სამშობლოს წყლულნი... განუწყვეტლივ, მოუსვენებლივ, ევედრება იტალეთი ზეცას, რათა ბოლო მოეღოს ბარბაროსთა გულქვაობასა და ურცხვობას... სამშობლო მზად არის აღსდგეს და გაჰყვეს ყოველ დროშას, ჩვენი თავისუფლების სახელით აფრიალებულს!.. მაგრამ ვის უნდა მივენდოთ, თუ არა ისევ თქვენს წარჩინებულ გვარს? თქვენთვის რომ ღმერთს და ეკლესიას მადლი მოუნიჭებია, მხოლოდ იმ სამშობლოს მადლს ძალუძს განთავისუფლების სასწაული მოახდინოს. არც ერთი ღვაწლი ყოფილა იმაზე კანონიერი, თქვენ წინ რომ გიძსო; თქვენ საქმეში ამობრწყინდება ჭეშმარიტება მთელის თვისის ელვარებით, ვინაიდან აუცილებელი ომი ყოველთვის სამართლიანისა და ჩაგრულთათვის აღმართული საჭურველი ყოველთვის წმიდაა!. თქვენ გიყვისთ ხმა მთელის ერისა და გამარჯვებაც თქვენი იქნება... თვით განგება გვაუწყებს თავის ნებას: ზღვა გზას გიხსნისთ, ნათელი ცის ღრუბელი ამ გზას გიჩვენებსთ, კლდე წყალს აღენს, უდაბნოში მანანა სცვივა და ყოველივე თქვენს დიდებას მოასწავებს... დანარჩენი კი თქვენს ხელს ეკითხებოდეს... ღმერთი ხომ ყოვლისფერს არ ათავებს, დიდების მონიჭებული ნაწილი რომ არ დააკლოს ადამიანის გარჯილობას!.. დე, არც ერთ იტალიელს არ აღესრულებინოს აქამდის, რასაც სამშობლო დღეს თქვენგან მოელის... ადრინდელ მარცხის მიზეზი ისა ყოფილა, რომ ძველნი დაწესებულებანი ხელუვარგნი გამხდარან... ახლა თქვენ ითავეთ მათი განახლება... ადამიანის დიდების გამოჩენას ხომ ისე არაფერი უწყობს ხელს, როგორც ახალ კანონთა და წესთა ჯეროვანად დამყნობა. იტალეთს ემარჯვება ფართო რეფორმათა მიღება... მამაცობით და ნიჭით ყველა ერებს ვსჯობნით... მაგრამ ვაი რომ არ გამოჩენილა ჯერ კიდევ ისეთი სახელოვანი მხედართმძღოლი, რომ ყველა იძულებული ყოფილიყო ეცნო მისი უაღრესობა... თუ თქვენ ამ საგმირო საქმეს გაჰბედავთ ისე, როგორც ჰბედავდნენ ძველად მამულის განთავისუფლებისათვის მებრძოლნი გმირნი,—მაშინ უწინარეს ყოვლისა თქვენ გმართებსთ ეროვნულ ლაშქარის გამართვა, ვინაიდან უმჯობეს და უერთგულეს მხედარს ეროვნულ ჯარში თუ იპოვით... ყოველი მათგანი, თავის თავად ვაჟკაცი, კიდევ უფრო გაგულადდება, როცა შეხედავს, რომ მისი მზრუნველი, მბრძანებელი და დამაჯილდოებელი მისივე მეფეა. მაშ ნუ აყოვნებთ... დეე, ასეთ ხანგრძლივ ლოდინის მერე მაინც მოესწრას იტალეთი თავის მხსნელს. პირით ვერ გამოითქმის, თუ ვითარის სიყვარულით, ვითარის შურის ძიების გრძნობით, ვითარის პატივისცემით და სიხარულის ცრემლით მიიღებს მას განაწამებ სამშობლოს ყოველი კუთხე. ვისი სახლის ბჭე არ გაიღება მის წინ, ვინ არ დაემორჩილება მის სიტყვას, ვისის ღირსების მოყვარეობა აღუდგება მის მარჯვენას. მას ვინ არ შემოევლება[illegible] მოიძებნება თუნდაც[illegible]ლი არ ძრწოდეს სიძულვილით, მარტო იმის მოგონებით, რომ მძლავრი უცხოელი კიდევ ბატონობს სამშობლოს?.

Che l' antico valore

Nell' italiçi cor non é ancor morto!

ასრულებს პეტრარკას კანცონით მაკიაველი თავისს მესიანისტურ ხმობას.

—

ის რაც მაკიაველიმ წინასწარმეტყველა, შეისხა ხორცით მხოლოდ ორი საუკუნის შემდეგ... მაკიაველის ნაციონალიზმის ძეძუწოვილმა ჯუზეპე ჯუსტიმ დაათრო თავის ირედენტინა შურის ძიების ჰიმნით მთელი იტალეთი... რას მღეროდა ჯუსტი?—იმას კი არა, შობა ღამეს რომ ბურდღუნებენ ფარისეველნი, ყველა ადამიანები ძმები ვართ და უცხოელნიც ისე შეიყვარეთ, როგორც ღვიძლი ძმაო!.. არა, ესენი ჯუსტის არ ახსოვდა... უფრო გულქვა იყო და იმას მღეროდა, რომ უცხოელები ყველანი უნდა განვსდევნოთ ჩვენის მამულიდანო!..

—„რა გვინდა ჩვენ,—ამბობს irredenta"-ს ლექსი?—მამულისა და თავისუფლების აღდგენა... უცხოელები კი აღარ გვინდა... ნახვამდისინ!.. გაეთრიეთ, უცხოელნო, დღენი თქვენნი უკვე დაითვალა!.. ჩვენი საზღვარია ორი ზღვა და ქედი... ცეცხლად მოვედებით ჩვენს მთებს, დავამხობთ უცხო დროშას და აღვმართავთ სამშობლო ალამსო!"..

ჯუსტის ლექსით ანთებულმა გარიბალდიმ გასწმინდა იტალეთი უცხოელთაგან და, როგორც მაკიაველის მონარქიულ კულტის ღირსეულ თანაზიარს შეეფერებოდა, დემოკრატიული რესპუბლიკა კი არ ააშენა, არამედ ის დემოკრატიული მონარქია, 1870 წლიდან დღევანდლამდის რომ მხარს უმშვენებს ევროპის სახელმწიფოთ...

გრიგოლ ვეშაპელი.

*) IL PRINCIPE, კარი XXVI.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

მდინარე ბუზეოს შესართავთან მოპირდაპირის სამ დივიზიას, აუარებელ არტილერიის დახმარებით, იერიში მიუტანია და რუს-რუმინელთა ჯარი იძულებულ უყვია უკან დაიხია. ეს ცნობა მეტად საყურადღებოა უფრო იმიტომ, რომ დობრუჯაში დაწყებულ ოპერაციას ფარდას ხდის და აშკარავებს გერმანელთა განზრახვებს მდ. დუნაის მიდამოებში. დელმანზინგამენის მანევრს დიდვლახეთში ბრაილოვის ჩრდილოეთით დამხმარე ხასიათი აქვს. როგორც ჩვენს გუშინდელ მორიგ წერილში ვამბობდით, გენ. ტოშევის არმიამ, თუ მართლაც ისეთი მრავალრიცხოვანია, როგორც დეპეშები იტყობინებოდნენ, უსათუოდ უნდა გადალახოს მდ. დუნაი ან ქ. გალაცთან, ან და ქ. რენისთან. ქ. ბრაილოვს გუშინდელ ოფიციალ დეპეშის ცნობის შემდეგ, გადალახვის მანევრისათვის არარაფითარი მნიშვნელობა აქვს, რადგან რუს-რუმინელთა ჯარი, იმ შიშის გამო, რომ დელმენზინგამენს შეუძლიან ზურგით მოექცეს ამ ქალაქს, ბრაილოვისაკენ აღარ გადავლენ და პირს უფრო აღმოსავლეთისაკენ იბრუნებენ. სამწუხაროდ, გუშინდელი ოფიციალი დეპეშა მხოლოდ ორის სიტყვით გადმოგვცემს დობრუჯის ამბებს. „ჩვენი ჯარი დუნაიზე გადმოდისო",—ამბობს დეპეშა. სახნლდობ სად და ან რომელ მიმართულებით, დეპეშაში არაფერია ნათქვამი. გენ. ტოშევი პირისპირ დუნაის გადასვლას ვერ მოახერხებს, თუ გვერდ. დელმენზინგამენი არ გაანთავისუფლებს მარცხენა ნაპირს. თუ უკანასკნელმა მდინარე სერეტი ბუზეოს შესართავთან გადალახა, მაშინ მთელი წყება სიმაგრეებისა და ქალაქებისა, საზელდობრ, ბრაილოვი, გალაცი და რენი რუს-რუმინელთა ჯარმა უნდა დასტოვოს; ამასთანავე მეტად საშიშ მდგომარეობაში ჩავარდება აგრეთვე ფოქშერში მომქმედი მოკავშირეთა ჯარი.

მოლდავეთის ასპარეზით მოპირდაპირეს კვლავინდებურად გაშმაგებული იერიშები მოაქვს. ეს იერიშები, ერთგვარად დაკავშირებული უნდა იყვეს დელმენზინგამენის ოპერაციასთან. შეიძლება, გერმანელნი აქ დემონსტრაციის სახის ოპერაციას აწარმოებენ და ელიან, სანამ ბუზეოს შესართავთან, ან და ჩრდილოეთით რიმნიკის და ბუზეოს შუა დელმენზინგამენი მდ. სერეტს გადალახავს. მაშინ მარჯვენა ფრთა მოპირდაპირესი გაცილებით ჩრდილოეთისაკენ შეიზნიქება და შემოვლის საშიშროებას დააყენებს რუს-რუმინელთა ჯარს. აი, სწორედ ამ მანევრს, ჩვენა გვგონია, უნდა მოჰყვეს უფრო აქტიური შეტევა მოლდავეთში. აქ მოპირდაპირე ბრძოლის ხაზის გარღვევას შეეცდება.

აღმოსავლეთ ბრძოლის ველზე, გუშინდელ ოფიციალ დეპეშების გადმოცემით, დვინსკის ჩრდილოეთით, სოფ. გლაუდანის აღმოსავლეთით, მდ. დვინაზე, საშინელი საარტილერიო ცეცხლის შემდეგ, კუნძული აუღიათ. შემდეგ ამ კუნძულით მათ განუზრახავსთ მდინარის გადალახვა, მაგრამ რუსეთის ჯარს უკანვე გაურეკნია. ჯერ-ჯერობით ყოვლად შეუძლებელია, მხოლოდ ამ ცნობის მეხედვით, რაიმე გადაწყვეტილ იზრის გამოტანა.

X.

# ომის დეპეშები

24 ქრისტეშობისთვე.

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. საღამოთი, 21 ქრისტეშობისთვეს, ძლიერი საარტილერიო მომზადების შემდეგ, გერმანელებმა დაიჭირეს კუნძული დასავლეთ დვინაზე, სოფ. გლაუდანის აღმოსავლეთით (დვინსკის ჩრდილოეთით). ღამით 21—22 ქრისტეშობისთვეს გერმანელებმა ამ კუნძულიდან იერიშები მოიტანეს, მაგრამ შეჩერებულ იქმნენ. ს. ბატკუვთან მოწინააღმდეგის ერთმა როტამ თოფის გაუსროლივ იერიში მოიტანა, ბროდის 30 ვერსის მანძილზე, მაგრამ შეჩერებულ იქმნა. მოწინააღმდეგე შეეცადა ბრზეჟანის აღმოსავლეთით გადმოელახა მდინარე, შიბალინის რაიონში, მაგრამ ვერას გახდნენ. ზლოტვინის ჩრდილოეთით რუსთა მზვერავები შეეტაკნენ მტრის მზვერავთ. ავსტრიელთა მეტი წილი ხიშტებით იქმნა ამოხოცილი, ნაწილი გაიქცა, დანარჩენნი ტყვედ იქმნენ წამოყვანილნი.

**რუმინეთის ასპარეზი.** კოტუმბოს რაიონში მტრის მოიერიშე რაზმები გაფანტულ იქმნა. მდ. ჩობინიაშის ველზე ძლიერი საარტილერიო სროლის შემდეგ მტერმა ხუთჯერ მოიტანა იერიში, მაგრამ მოგერიებულ იქმნა. მდ. ოიტუზის ჩრდილოეთითაც სამჯერ მოგერიებულ იქმნა მტრის იერიშები. მხოლოდ ტოპესჩის ჩრდილოეთით მტერმა უკან დაახევინა რუსის მოწინავე რაზმებს. კოპრორიოს რაიონში, ნერუჯის სამხრეთ - აღმოსავლეთით, მტერმა უკან დაახევინა რუმინელებს. კაპატუნის რაიონში, ფოქშანის 14 ვერსზე ჩრდილო-აღმოსავლეთით, რუმინელებმა მტრის ოთხი იერიში მოიგერიეს. ხოლო ბუზეოს შესართავის სამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხრეთით მტერმა სამი დივიზიით და 30 ბატარეის მოხმარებით იერიშების შემდგომ რუმინელთ უკან დაახევინა.

**დობრუჯაში** დილიდან მოყოლებული მტერს სასტიკი იერიშები მოჰქონდა ვევერნის რაიონში, ბრაილოვის აღმოსავლეთით 15 ვერსის მანძილზე. მთელი დღის განმავლობაში რუსები უძალიანდებოდნენ მტრის მოზღვავებულ რაზმებს, მაგრამ საღამოზე იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ და მტრისთვის დაეთმოთ ადგილი.

**კავკასიის ასპარეზი.** სპარსეთში, ბურჯინის მიმართულებით რუსის ცხენოსანი რაზმი პარტიზანულ ბრძოლას ეწევა, იგი 17 ქრისტეშობისთვეს სულთან აბადიდან გამოვიდა, 17-ში ბრძოლით აიღო სოფ. აზნა, დაამარცხა მტრის ცხენოსნები და ტულის ხეობაში, 18 ქრისტეშობისთვეს, სდევნა მტერი, გაარღვია გურანის ხაზი და საღამოს 8 საათზე აიღო დოვლეთ-აბადი. მოწინააღმდეგე აქედან ფეხს იკიდებს ამირ-აბადის ხლლობებზე, მაგრამ აქედანაც გაძევნილ იქმნა და ნოქილ-აბადისაკენ ძაგრებენ საბოლოოდ ფეხს.

**რომი.** იტალიის ოფიც. ცნობა. ტრენტინოს ასპარეზზე მტერმა რამდენჯერმე ესროლა ზარბაზნით არსიეროს, ასტიკოს ველში, აზიგს და გალიოს, მაგრამ მალე ჩააჩუმეთ. კარსოზე ძლიერი სროლა იყო ზარბაზნებისა. აქ, ლუკატიჩის ახლობლად, კონსტანიევიცის სამხრეთაღმოსავლეთით, მოპირდაპირის მოაგერიებელი სიმაგრენი გავანადგურეთ.

**ქრისტიანია.** დაღუპეს გემი „ევრიკა". 1916 წლის განმავლობაში ნორვეგიისათვის დაუღუპიათ სულ 16 მილიონ ფუთზე მეტის მზიდველი გემები. მხოლოდ უკანასკნელ ამ თვეში 9 მილიონ 30 ათას ფუთი მტვირთველი გემი დაუღუპიათ ნორვეგიისათვის.

**ლონდონი.** ლლოიდის ცნობით, ინგლისის გემი „ხოლმბრაიმ"-ი დაღუპეს.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

## საბერძნეთი

**საბერძნეთს ნოტა.**

ათინიდან იტყობინებიან: საბერძნეთის მთავრობამ მოკავშირეთა დესპანებს ახალი ნოტა გადასცა, რომელშიაც ნათქვამია: მოკავშირეთა გაუგებარი დუმილი ხალხს აღელვებს და აბრაზებს. ხალხი ნაპიროების გარემოცვის მოხსნას მოითხოვს. საბერძნეთის მთავრობა სთხოვს მოკავშირეებს, სანაპიროები გაათავისუფლონ, თორემ შედეგის პასუხისმგებლობას ვეღარ ვკისრებო.

გერმანელების მოტრფიალე გაზეთები ხალხს მოუწოდებენ მოკავშირეთა წინააღმდეგ სამოქმედებლად.

მოკავშირე სახელმწიფოთა მიერ ვენიზელოსის მთავრობის აღიარებამ მთავრობას საჯოვო საბუთი მისცა ვენიზელოსთა წინააღმდეგ უფრო გაეჩაღებინა ბრძოლა.

## რუმინეთი

**ფოქშანთან**

დიდი ხნის დუმილის შემდეგ „დენი"-ს სამხედრო მიმომხილველი ს. დიმიტრიევი რუმინეთის ასპარეზს ეხება და სწერს:

არა ერთხელ გვითქვამს, რომ გერმანელების ძლობელი მიზანი ფოქშან—ნამალო—გალაცის ხაზის დაპყრობაა. ამ ხაზის მისაღწევად ორის გზით მოი[illegible]თებიან: დობრუჯიდან, სადაც უკანასკნელ მიჯნამდე მიაღწიეს და მარჯვენა ფრთით ბრაილოვ-გალაცს გვერდიდან უვლიან და მოლდავიის მხრით ფოქშანისაკენ.

ერთხანს ითქოს შესაძლებლადაც მიგვაჩნდა, რომ მოპირდაპირე დაუბრკოლებლად გაჰყვებოდა ფოქშანის რკინის გზის ლიანდაგს და მის გასწვრივ მდებარე რიმნიკ-სერეტის გზატკეცილს, ამას ჩრდილოეთის მხრივ პუტნა-სუცე-ტროტუშის ველებში გაარღვევდა რუმინელთა ჯარს და ფოქშანს ზურგიდან მოექცეოდა!

მაგრამ მიცესა და პუტნას ველებში მოპირდაპირემ ვერ შესძლო იმ ადგილში გაჭრა, საიდანაც მიემართება ოქმან-აჯუდის შემაერთებელი რკინის გზა.

# დეპეშები

(საკუთარ კორესპონდენტებისაგან)

**ქუთაისი.** სოლქო სასამართლოს საერთოკრებამ ქრისტეშობისთვის 22 განიხილა საქმე იმ ვექილთა, რომელნიც პასუხის გებაში იყვნენ მიცემულნი აპარელთა პროცესის გამო და ბრალდებულთ მხოლოდ გაფრთხილება მოუცხადა. საინტერესოა, რომ ქაისის სასამართლომ სულ სხვა თვალით შეხედა ამ საქმეს, ვიდრე თბილისისამ და აგრეთვე პეტროგრადის ოლქის ნაფიც ვექილთა საბჭომ, რომელმაც აპარელთა სხვა დამცველები გაამართლა. სასამართლოს განაჩენის განსაჩივრება არ შეიძლება. ქუთაისის ადვოკატთა საერთო კრებამ თანაგრძნობა გამოუცხადა დასჯილ ამხანაგთ.

კვიცარიძე.

**თელავი.** ყაჩაღებსა და დარაჯთა შორის სროლა ასტყდა. სროლის დროს მოკლულ იქმნა ოთხი ყაჩაღი.

შუამთელი.

უქმეებში „საქართველოს" რედაქციის კანტორა ღია იქნება დილით 10—2 საათამდე, ხოლო საღამოთი 6—8 საათამდე.

**დღესასწაულებისა გამო, მორიგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 29 ქრისტეშობისთვეს.**

# ახალი ამბავი

### სასახლეში

◆ **მეფის ნაცვალს „კრუჟოკის"** მამასახლისთა საბჭომ უქვეშევრდომილესად მიულოცა, როგორც ამ დაწესებულების საპატიო წევრს. მისმა უმაღლესობამ სამადლობელი დეპეშა გამოუგზავნა.

### ქართული დაწესებულებანი.

◆ **ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების** მთავარ გამგეობას ლაზისტანიდან ატყობინებს საზოგადოების რწმუნებული ბ-ნი კ. კობახიძე, რომ ლაზისტანში დიდი გაჭირვებაა სურსათის უქონლობის გამო და მიუცილებლად საჭიროა გაიმართოს ხოფაში სიმინდის საწყობი, საიდანაც მცხოვრებთ ხელმისაწვდომ ფასებში სიმინდი უნდა მივყიდოთ. იგივე ბ-ნი კობახიძე იწერება, რომ სოფ. აბუისლანის (ლაზისტანი) მცხოვრებნი გვთხოვენ დავუარსოთ მათ ქართული სკოლაო.

◆ **წერა-კითხვის** გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას კრება ექნება სამშაბათს, ამა თვის 27-ს. კრების უმთავრესი საგანია გამოარკვიოს საკითხი თბილისში ფილიალ განყოფილების მოწყობის შესახებ.

◆ **ტრადიციული საღამო.** წერა-კითხვის საზოგადოების ბათომის განყოფილება 14 იანვარს გამართავს ბათომში ტრადიციულ საღამოს.

◆ **ქართული თეატრი.** ორშაბათს, ამა თვის 26-ს, დილით, „ახალ კლუბის" დარბაზში ქართული დრამატიული დასი წარმოადგენს „სამშობლო"-ს.

### სხვა და სხვა ამბები.

◆ **თავდასხმა.** გუშინ ხალხის ბრბო თავს დაეცა თუმანოვის ქუჩაზე მოთავსებულ ქალაქის სასურსათო დუქანს, დაამტვრია რკინის დარაბები, შეიჭრა დუქანში და შაქარი დაიტაცა. პოლიციის დახმარებით ზოგიერთს შაქარი ჩამოართვეს და მიიტანეს საწყობში. ბევრმა კი თავს უშველა.

◆ **სახალხო თეატრი.** სამშაბათს, 27 ქრისტეშობისთვეს, სახ. სახლ. არს. ქართ. წარმ. მმართ. წრის მიერ ამავე წრის სცენისმოყვარეთა ფონდის გასაძლიერებლად გამართავს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქმნება „მსხვერპლი" და „არივ-დარიი". წარმოდგენის შემდეგ გაიმართება კონცერტი. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ: ილიკო ქურხული, დ. ლეჟავა, ტერ-პეტროსიანი და სხვანი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასი—10 კ.—1 მ. 49 კ.-მდე.

◆ **სახალხო თეატრი.** სამშაბათს 26 ქრისტეშობისთვეს სახ. სახ. არს. ქართ. წარმ. მმართ. წრის მიერ წარმოდგენილი იქნება „ქრისტინე". დასაწყისი დილის 12 საათზე. ადგილების ფასი სახალხოა.

◆ **„საფირონის"** მასალათა შორის ისტამბება № 17 ყაზბეგის ახლად ნაპოვნი მოთხრობა „ბედკრულაძის ოჯახი". თბილელმა ლიტერატორებმა გადასწყვიტეს იანვრიდან გამოსცენ ორ-კვირეული სამხატვრო-სახელოვნო ჟურნალი „საფირონი".

◆ **პოლონელ მოღვაწეთა მოსვლა.** იანვრის პირველ რიცხვებში თბილისში მოელიან პოლონელ საზოგადო მოღვაწეთ ნაფიც ვექილ ლედნიცკისა და თ-დ როდზევიჩს.

◆ **აბანოების დათვალიერება.** გუშინ დილით ქალაქის სავაჭრო სამეურნეო ნაწილის ინსპექტორმა ქალაქის აგენტებთან ერთად დაათვალიერა აბანოები ბებუთოვისა, სუმბათაშვილისა, ირაკლისა და არგუთინსკი-ხერხეულიძისა. ყველგან მრავალი დეფექტები აღმოაჩინა და ზოგან ნიხრის დარღვევაც. ყველას ოქმები შეუდგინა.

◆ **საკოოპერაციო სასადილო „იმედი"** ღია იქნება და იმუშავებს ბედნიერ დღეებშიაც.

# დია

I

მარწყვის ბაგე, მაყვლის თვალი
თვალში ვნების ნაპერწკალი.
რხევა მისი—ხმა-მწყობრობა...
აჩენს, რაც გულს განუცდია;
თამამი და ცელქი ქალი!
მას ტანს ჰბურავს წითლად გრძნობა—
ეს ის არის—ნორჩი დია!

გულუბრყვილო, საყვარელი,
მხიარული, შვების მგვრელი
ოდეს მნახავს,—ილიმება,
თეთრს კბილს აჩენს გულმკრთალ-ღია.
და მიძახის: „კოცნას ველი!"
თან კი გარბის, არა სდგება
ჩემი სატრფო, ნორჩი დია!

გაზაფხულზე ჩემი დია
ვიდრე სხვა დროს, დიადია;
ყვავილებით მოკაზმულსა
სიყვარულის დედოფალსა
ფერხთით ფლოსტი გაუხდია!
ვალერსებს ჩემს ძველს წყლულსა
არ მაშორებს თვალით თვალსა
სანატრელი კოხტა დია!

ჩემთან მოდის ბინდის ჟამსა,
მირაკუნებს ჩუმად კარსა,
გალობს უცხო საგალობელს,
რაც ყრმას ჯერ არ განუცდია;
ამ მსოფლიურს მიქრობს დარდსა,
ნექტარს მასმევს დამათრობელს
სატრფიალო, ჩემი დია!

II

ჩემკენ დახარა
მან ერთხელ თავი;
გაშლილ თმის ტალღამ ორივ დაგვფარა.
კრძალვით მოვხვიე მთრთოლვარე მკლავი.—

ზღვის ქაფი ეგრე არ არის ნაზი,
არც გარს ეხვევა ხეს უსურვაზი,
როგორც ის ვნებით შემომეხვია,
ცელქი, თამამი, ნარნარი დია!

ჩემს ოთახში დიას სძინავს, ზედ ლეჩაქი ჰხურავს მუქი.
მოქნილ ტანის სიშიშვლისგან ეფინება ირგვლივ შუქი!
გადავწიე მის თხელს საბურს, მძინარს თვალი გავუსწორე,
გაიღვიძა, გამიღიმა და უსიტყვოდ ვაემბორე.

—

ცხოვრებაა ჩემი დია: სოფლის ეშხი, სოფლის ვნება;
ზეციური სხვას დაუთმო, თვით არჩია მიწის შვება!
მის მზეს ვფიცავ, აღარ ვიცი აწ ვინ უფრო დიადია:
უხილავი ჩემი ლტოლვა, თუ ხილული ნორჩი დია?!

—

ერთხელ ეტლით შორს წავედით: გვიმართავდნენ დღესასწაულს.
რა ვიცოდი, დამატეხდნენ ბოროტსა და ბნელს სასწაულს!
ღვინის ნაცვლად მისცეს შხამი, მომიწამლეს საყვარელი...
შინ დავბრუნდით... დიამ მითხრა: ეძიეო ჩემი მკვლელი!

—

ახ! გზაში რარიგ იტანჯებოდა...
„მიშველე რამე"—მეხვეწებოდა!
ვერას ვშველოდი, გული მწყდებოდა,
ჩემს მკლავზე მწოლარს სული ხდებოდა...
ნაზის ხელებით მკერდს მეკვრებოდა...
ტურფას არ ჰსურდა გამშორებოდა.
ახ, გულო! რარიგ იტანჯებოდა...
ვხედავდი, ჩემი დია კვდებოდა!

— დიავ! მისმინე! რაღა ვქნა, ჩემო! კვლავ შემომხედე...
მძიმედ თვალები ეხუჭებოდა.
ეტლს აუჩქარე!.. გასწი!.. სად მიხვალ?..
ექიმი?!—არა!
დედასთან, ჩქარა!..—
ღმერთო, უშწეო რად გამაჩინე, რად ვერა ვშველი მომაკვდავ დიას?
ვინ დამიბრუნებს? ვინ დამიბრუნებს?...
ოხ, დიავ! გუშინ მისთვის ჰხარობდი,
რომ დღეს მზე აღარ გაგთენებოდა?...
მან მითხრა: ამას მე წინად ვგრძნობდი...
მას ჩემი ბედი შეჰშურდებოდა!

სთქვა და კიდეც მოსწყდა სოფელს, დღეს ვატარებ მისთვის შავებს;
მიწად მყოფი სხვა მოშურნეს ვეღარაფერს დაუშავებს.
ვინ მომიკლა? აწ ვსტეხ ღამეს... დილით ვსდგები გულით მკვდარი!
თვალით ვეძებ მოცქრიალეს და——ამაოდ!—აღარ არი!...

სანდრო შანშიაშვილი.

# ღმერთი სიყვარულისა

(ლეგენდა)

..... ყოვლად შემძლებელმა ღმერთმა, მრისხანე და საშინელმა, ღმერთმა შურის ძიებისამ ერთს წუთს თვალი მოავლო ცოდვილ დედამიწას და... შეძრწუნდა.

მის თვალთაგან მეხისებურ ელვარებამ მყისვე გაანათა ღრუბლით დაბურული ცა და წყვდიადით მოცული დედამიწა.

და მრისხანე ხმამ, ვითარცა გრგვინვამ, გააპო ცის სივრცე და შეაძრწუნა მთელი სამყარო:

— მოვსპობ ამ ბიწიერ სამყაროს!...

აცახცახდა ქვეყნიერობა.

მთა და ბარი, მიწა და წყალი შიშით აღივსნენ და ვედრებით მიაჩერდნენ ცას.

მხოლოდ ადამიანები დარჩნენ ყრუდ ღმერთის მრისხანების წინაშე. არა გრძნობდნენ მოზღვავებულ უბედურებას.

ხალხი ჩვეულებრივ ქეიფობდა, საქმიანობდა, ბჭობდა, სჯიდა და ასამართლებდა, ჰკლავდა და ძარცვავდა, მიწას სისხლითა რწყავდა და ვაებაგოდებით ცას აწუხებდა.

უეცრივ გაისმა შეუპოვარი და თავხედი სიცილ-ხარხარი.

უარესად შეირყა და შეძრწუნდა სამყარო.

ქვეყნიერებამ იგრძნო და იცნო სატანა-ტარტაროზის ხმა.

— რაზედ იცინის ტარტაროზი?

— შენს ქვეყნიერობაზე ვიცინი, ღმერთო მაღალო. ვიცინი ადამიანებზე, რომელნიც ტარტაროზზედ უარესნი შეიქმნენ და სისხლს ისე ეწაფებიან, როგორც ბუზები თაფლსა!..

ტარტაროზი თანდათან უფრო თავს იკატუნებდა ღვთაების წინაშე და თან გესლიანი ღიმილი არ შორდებოდა იმის ეშმაკურ ბაგეს.

— ადონაი! მე დიდი ხანია, გეუბნებოდი, რომ ეგ ერთი მუჭა ტალახი, რომელსაც დედამიწას ვძახიან ყველა თავის მცხოვრებლებითურთ დიდი ხანია ამოსაშლელია შენის სამფლობელოს დავთრიდან!..

მერე თვალთმაქცურის თანაგრძნობით დაიწყო სისინი:

დიახაც ბევრის მომთმენი ხარ, ღმერთო ადონაი! ერთი შეხედე, რას დაემსგავსა შენი სამყარო? გარყვნილებისა და ბოროტმოქმედების წუმპედ გადიქცა! ნუ თუ კვლავაც მოითმენ ასეთს უმადურობას? მოითმენ, შენ, ღმერთო შურისძიებისავ, შენ, მრისხანე ღმერთო ადონაი!? შენ ოღონდ მომეცი ნება და მე...

ჯოჯოხეთურის სიხარბით აივსო თვალები ტარტაროზისა, მაგრამ მყისვე თავი მოიკატუნა და მოწიწებით წაიჩურჩულა:

— შენ ყოყმანობ, ღმერთო ადონაი! შენ ისევ სათნოება და შენდობა გიჩვილებს გულსა... გარნა ღირსია ადამიანი შენის შენდობისა? შენ შეჰქმენ იგი შენს მსგავსებად და ხატებად; შენ მიანიჭე მას ყველაფერი, რომ იგი ანგელოსად ქცეულიყო და ის კი რას დაემსგავსა... აბა, შეხედე!

ტარტაროზმა ფრთები შეარხია და ღვთაების წინაშე გადაშალა ერთი კუთხე დედამიწისა, რომელსაც ეწოდებოდა პალესტინა.

ქვეყანა ყვაოდა, სახნავ-სათესი სავსე იყო; სურნელოვანი ხეხილები დაფურცლული; იორდანეს ანკარა მდინარე გრილი და საამო.

მაგრამ რაოდენად ბუნება იყო წარმტაცი, ეგოდენ ხალხი იყო ბოროტი და ცბიერი.

ტაძარში ხალხი ლოცვად იდგა, მაგრამ ტაძრის გარედ ძარცვა-გლეჯა, მოტყუილება და ავსულობა იყო გამეფებული.

რომაელთა ჯარის კაცნი უდიერად ექცეოდნენ ხალხს, მეტადრე უმწეოს, —მშობლებისა, ქმრებისა და ძმების თვალწინ შეურაცხყოფდენ ქალებს...

რა გასაკვირველია! რომაელნი ბატონები არიან, გამარჯვებულნი...

აი სამსჯავროც.

შეკრებილია მთელი სინედრიონი იუდასტანისა. მსაჯულთა თავები თეთრად დათოვლილულია. სიბრძნე და სიდარბაისლე მათი ეჭვს გარეშეა.

სინედრიონის სამსჯავროს წინაშე მოციქული სდგას.

სდგას იმიტომ, რომ ამას წინედ არ მოერიდა მათ ძლიერებას და ხმა-მაღლა შეჰყვირა ერუსალიმეს მოედანზე, ათას ხალხის თანადასწრებით:

— ნუ გჯერათ რა მაძღარ ფარისეველთა. ესენი თქვენის სისხლ-ხორცით არიან გამოკვებილნი. ნუ გჯერათ მათი ფარისევლური მზრუნველობა და მფარველობა. ესენი ფეხით გაგთელავენ თქვენც და თქვენს საჭიროებას. ისევ ისა სჯობიან, თქვენ თითონ ფეხით გასთელოთ ეს ცრუ ჰირისუფალნი!..

ამიტომ ასამართლებენ ამ გამბედავ მოციქულს, მაგრამ იგი არ ერიდება მათ ძლევამოსილობას და ხმა მაღლა გაიძახის.

— თქვენ ფიქრობთ, რომ ვითომც ჩემი მოსამართლე იყოთ? სცდებით! მე ვარ თქვენი მოსამართლე და მსაჯული. თქვენი სამართალისაგან მე დამიხსნის სიკვდილი, ხოლო რა დაგიხსნით თქვენ ჩემის მსჯავრისაგან?! თქვენ მე ერთხელ გამასამართლებთ, მაგრამ თქვენ განსამართლებულნი იქნებით ამიერიდან უკუნისამდე სამარადისოდ, საშვილიშვილოდ!..

— ხუნდები მაგას! შებორკეთ! შეთოკეთ!! გაისმის მრისხანედ ფარისეველთა ყიჟინი!

აი სხვა სურათიც.

იროდის სრა-პალატი. შიგ ქეიფია. მოისმის სიმღერა, ღრიანცელი, ხმაურობა.

სისხლში მცურავი იროდი, ყველასაგან წყევა-კრულვით ხსენებული, თავდავიწყებით ქეიფობს და სისხლის ახალ გუბეებს ამზადებს...

— კმარა!—დაიქუხა მრისხანე ღმერთმა:—მე წავრღვნი ამ ცოდვილ დედამიწას!!

ამ დროს მოულოდნელად ზეცაში გაისმა ჩუმი ნარნარი ხმა:

— ღმერთო! აკი შენ აღუთქვი, წარღვნა ამის მეტად აღარ იქნებაო!

და განრისხებული ღმერთის წინაშე წარსდგა სათნოებათ, მშვენიერებით და სასოებით აღსავსე ანგელოსი.

— ღმერთო ძლიერო, აკი წარღვნა მეტად აღარ იქნებაო!..

— წარღვნა აღარ იქნება, მაგრამ ცეცხლით ამოვწვავ და ამოვბუგავ დედამიწას ყველა მისის ბინადრობით, მის მაგიერ მე შევქმნი ახალს და უფრო მშვენიერს ქვეყანას!

შეკრთა და შეწუხდა ღვთაებრივი ანგელოსი, მაგრამ კვლავ შეევედრა ყოვლად შემძლებელ ღმერთს.

— ყოვლად ძლიერო! სატანა-ტარტაროზს შენთვის ხომ მთელი ქვეყნიერობა არ უჩვენებია. იმან მხოლოდ თავისი სამფლობელო დაგანახვა, სადაც მან შეჰქმნა თავისი შესაფერი ჯოჯოხეთი!.. ჯოჯოხეთ[illegible] სხვა კუთხეც. მართალია, არიან ადამიანები-მხეცები, მაგრამ არიან ადამიანები-კრავებიც! ავსულთა და ავხორცთა გარდა არიან კეთილნი და მართებულნი. აბა, მოავლე შენი მოწყალე თვალები!..

ანგელოსმა ფრთები შემოიქნია და კვლავ გამოჩნდა პალესტინა, მაგრამ არა წინანდელი ბოროტი და გარყვნილი, არამედ სხვა... ახალი...

დანგრეული ქოხმახები, სიღარიბე... უმწეობა...

— აი შემოხედე ამ ქოხმახებს, ოჰ, ღმერთო შურისძიებისა და მრისხანებისავ,—შეჰბედა ანგელოსმა;— აქ ბინადრობს ტანჯვა და ვაება, სიმწარე და გმირობა; აქ, ამათში სიკვდილი სასურველი სტუმარია; სიხარულისა და ბედნიერების სიოს არას დროს გაუზიზინებია ამ ქოხმახთა სხვენზე... აი თუნდა ესა...

ანგელოსმა ანიშნა ღმერთს ერთი პაწია მინგრეული ქოხი. შიგ იჯდა ძალზე მოხუცებული ბერიკაცი და მის ფერხთა ქვეშ მისი შვილისშვილი. მოხუცი კვნესით გაიძახოდა:

— მთელი ქვეყანა დაამხო რომაელთა ურდომ. ჰირნახული წაღებულია, ცეცხლმა და მახვილმა სულყველაფერი გაანადგურა... აი ეს ცივი და გამხმარი ლუკმა-ღა შეგვრჩა. დავნაყრდეთ მაგით და სანატრელ სიკვდილს მივცეთ თავი.

ანგელოსმა კვლავ შეჰბედა ღმერთს:

— ნუთუ ამათაც დაიმსახურეს შენი რისხვა? ეხლა აქეთ შემოხედე, უფალო.

განაპირა ქოხში ახალგაზრდა დედა თავის ბავშვის აკვანს არწევდა და თან ჩასჩურჩულებდა:

— იძინე, ჩემო ბავშვო! მამაშენი ხმლით გაგმირეს, შენი ძმები ჩამოაღრჩვეს... შენი დები გააუპატიურეს და მერე დახოცეს...

— იძინე, ბიჭიკო, რაღაც სასწაულით გადაგარჩინე დაღუპვას და იქნება შენც სასწაულისათვის იყო მოვლენილი ამ ქვეყნად... ვიცი მწარე და უბედური იქნება შენი ცხოვრება! შიმშილი და სიცივე იქნება შენი მუდმივი თანამგზავრი, მაგრამ ჯერ კი იძინე, ჩემო ბიჭიკო!

— ესენიც ცოდვილნი და დამნაშავენი არიან, ღმერთო ძლიერო!?— ყრუდ შეეკითხა ანგელოსი.

— მართალია, შენ ღმერთი ხარ მრისხანებისა და შურის ძიებისა, მაგრამ აქაც ადგილი ექნება შენს მრისხანებას? დიე, იქ, სადაც ტარტაროზი გითითებდა, მძვინვარებდეს შენი მრისხანე შურის ძიება, მაგრამ აქ კი სიყვარულია საჭირო!..

— შენ, ღმერთო შურის ძიებისავ, ასამართლებ დამნაშავეთ, მაგრამ სადღაა ღმერთი ჩაგრულთა და დევნილთა? სად არის ღმერთი სიყვარულისა?

— მართალი ხარ, ანგელოზო!

დედა-მიწა სიხარულით შეირყა, როცა ყური მოჰკრა ღმერთის სიტყვებს.

— შენ მართალი ხარ, ანგელოსო. შურისძიების ღმერთი საჭიროა ბოროტმოქმედთათვის, ხოლო ჩაგრულთა და დავრდომილთათვის სიყვარულის ღმერთია მოვლენილი! მართალი ხარ, მართალი!

და გაბედნიერებულ ქვეყანას მალე მოევლინა ქრისტე ღმერთი.

ძია ვალიკო.

# ჰენრიკ სენკევიჩს*)

თანამედროვე მსოფლიო ომის ქარცეცხლში, როდესაც ინგრევიან მთელნი სახელმწიფონი, იშვა დაჩაგრულ ერთა თავისუფლების იდეა.

მონობის შავ ცაზე გამოჰკრთა, აშოციმციმდა პოლონეთის თავისუფლების მზის პირველი შუქმფენი სხივი, რომელსაც გადაეწნა სიხარულის ჰანგად ქცეული ჰენრიკ სენკევიჩის სული და თავისუფლების ღმერთს თავს გვირგვინად შემოევლო.

ჰენრიკ სენკევიჩი! ეს ორი სიტყვა მთელი თავისუფალი პოლონეთია! ის არის გამოძახილი პოლონეთის მრავალფეროვან წარსულისა და ზევსური ჰიმნი თანამედროვე პოლონეთისა!

ჰენრიკ სენკევიჩი! ეს ხომ მთელი მუსიკაა, რომლის ჰანგებზე პოლონელი დედა უზრდის თავის სამშობლოს თავგანწირულ შვილებს და პოლონელი ამსხვრევს მონობის ბორკილებს!..

საბრალოა ერი, უხეშ ძალით დამონებული.

როდესაც ერი ჰკარგავს თავისუფლებას, ედება ბორკილი მის აზროვნებას, ენას, მოქმედებას და ინგრევა ყოველი ნაწილი სახელმწიფოებრივ ერთეულისა. მონობის ხუნდებით შემოსალტული სული მისი, ეროვნულ საზრდოს მოკლებული, თანდათან

*) სიტყვა პოლონელთა საზოგადოების მიერ ჰენრიკ სენკევიჩის პატივსაცემად გამართულ დილაზე, საარტისტო საზოგადოებაში, ქრისტეშობისთვის 22, წარმოთქმული.

ჰქრება... ასეთი ერი ვერ ასცდება სიკვდილს, თუ რომელმამე გენიოსმა შვილმა მისმა დროზედ არ შთაჰბერა მას წინაპართა მაცოცხლებელი ძალა, არ აღმართა მის სულში ალამი თვითშეგნებისა და მის გულში არ ააგო ტაძარი თავისუფლებისა...

მიცკევიჩის და სენკევიჩის სამშობლო კი ბედნიერია.

ბედნიერია ერი, მშობელი სენკევიჩისა, ბედნიერია სენკევიჩი, აღმზრდელი თავისუფალ მთლიანი პოლონეთისა!

„ცეცხლითა და მახვილითა" მან გამოსჭედა პოლონელის გულში ღვთაებრივი სიყვარული სამშობლოსადმი, „წარღვნის" ტალღებს დაალეწინა და გაატანა სულიერი კირთები მონობისა... და დიდებული ქურუმი ჩაგრულ ერის თავისუფლებისა დადგა ლოცვად და შეეკითხა განგებას: „ვიდრე ხვალ, უფალო?" და იხილა მოვლენა: მისი პოლონეთი მშვენიერ, სათნო ლიგიად ქცეულიყო, უხეშ ძალას ხარს გაეკრა იგი რქებზე და ხარი იგი მოკვლას უპირებდა... მაგრამ გამოჩნდა ურსი, მოუგრიხა ამ ჩლუნგ, უაზრო ძალას კისერი და გაანთავისუფლა მშვენიერი ქალი.

დიდება შენს სახელს, დიდებულო მამულიშვილო, რომ მართლდება წინასწარმეტყველება შენი.

გამარჯვება პოლონეთს, ნეტარ-ხსენება მის უკვდავ შვილს ჰენრიკ სენკევიჩს!

იოს. მაჭავარიანი.

# ხელი შემოქმედი

ქვეყნის შექმნა ბიბლიურ თქმულების თანახმად ძლიერი ღმერთის შემომქმედი ხელით მოჰხდა. რამდენად მართალია ეს ამბავი, მარადისობის საკითხია. ვიცით, რომ იგი შემოქმედების სიმბოლოდ გარდაიქმნა. ამ თქმულების მიხედვით ბევრი რამ დაიწერა, ბევრი რამ გაკეთდა ხელოვნების სფეროში, მაგრამ სახიერება რომ ფრანგ ქურუმ როდენში იპოვა, ეს კი ეჭვს გარეშეა. როდენმაც მოგვცა ასეთი „შემომქმედი ხელი". საკმარისია დააცქერდეთ, რომ უმალ მასში იცნოთ ხელი ძლიერი, ხელი დიდი, უზარმაზარი, ხელი დიდებული და უაღრესად შემომქმედი, რომელიც თიხიდან, უკედ, არარაობიდან ჰქმნის სულს, გენიოსობას, ქმნილებათა შორის იშვიათს და უდიდებულესს მხეცს—ადამიანს!

მაგრამ იმავ გენიოს მოქანდაკეს აქვს არა ნაკლებ შესანიშნავი მარმარილოს ქანდაკი—„დიდება-სახელი". ეს გახლავთ პირქვე მწოლარე ყრმა, უკედ, დაცემული, ფეხმაღლა აწეული და თავზე ხელ შემოვლებული ჭაბუკი. ერთის შეხედვით, აქ სიუჟეტი თითქმის იგივეა, რაც ამავე ქურუმის ბრინჯაოს ქანდაკში „ჩამოგდებული ანგელოზი", რომელიც ძირს დაცემულს ყრმას წარმოადგენს. კოპებ-შეკრული, მაღლა შეტყორცნილი სხეული და შესწორებული მხარი—თვალწინ გიდგენსთ გამოცდილს ფალავანს. ამ ფალავანს არ ეშინიან დაცემისა, ვიდრე ბეჭებით მიწას არ განართხობთ. მზგავსება ამ ორ უკანასკნელ ქანდაკისა დიდია. ოღონდ, თუ შეურიგებელი ანგელოზი წამოწევას ჰლამობს და რისხვით პროტესტს აცხადებს ჩამომგდებისადმი, როდენმა პირველს, დიდებისკენ მსრბოლ წამოქცეულ ყრმის გარეშემო სხვა ფიგურაც ამოუყენა. ამ ახალ ნაკვეთ ფიგურით ქანდაკი შეავსო და იდეის მხრითაც მეტად საჩინო ჰყო, სრული. წამოქცეულ ყრმას თავზე წამოსდგომია გედის ფრთიანი ქალწული. ეს ხომ თვითონ დიდებაა, სახელი, რომელიც ცისარტყელას მარაოს ქნევით ეპატიჟება ყველა ჭაბუკს, ვიდრე სისხლი ჭარბადა ჰფეთქს ძარღვებში და ენერგიაც მოითხოვს დაცლას, ლაღად სრბოლაში გადალევას. ჭაბუკს ქალწული თითქოს თეთრს ფრთებში ჰხვევს. მშვენიერება ჰაეროვან ვარდის მანძილად გაჭიმულა ყრმასა და ქალწულს შუა. ქალწული იღიმება. ასე გგონიათ, აგერ, აგერ მისი კოცნა ყრმის ხუჭუჭა თმებს დააწვიმება, ველურ ყვავილთა სურნელად დაეფრქვევა, მერე ისეთის სახით, ისეთის სიმტკიცით, თითქოს დაბეჯითებით გარწმუნებსთ, რომ სახელიც და დიდებაც უმჭაბუკოდ შეუძლებელი ყოფილიყოს!

რა დიდებული აზრებია განვითარებული ამ სამს ქანდაკში! თითქოს ერთი მეორის დამატებაა, ერთი მეორის განმარტება, ილლუსტრაცია! ბრძოლა, დამსხვრევა, წამოდგომა, დიდების მიხწევა და რით? ძლიერის, დიდის, შემოქმედების ხელით! მთელი კაცობრიობის ისტორიაც ხომ ამ მსხვრევა-დაპყრობასა და დიდებისაკენ სრბოლას წარმოადგენდა, ახალის ხელის აღსამაღლებლად, ახალის თიხის მოსაძებნად, ახალ ცხოვრების სახის ჩამოსაქნელად, ახალ იდეათა საკოცნელად! თვით მეცხრამეტე საუკუნეში, როდესაც ადამიანის გონებამ ბატონობის უფლება მოიპოვა და ფართო ძიების საგნად კაცობრიობა დაისახა. ამ ცნების უფართოესის მნიშვნელობით, როდესაც ყოველს დარგში, ლიტერატურასა, ფილოსოფიასა, თუ პოლიტიკურ დაწესებულებათა შორის სცდილობდნენ აღმოეჩინათ საერთაშორისო ელემენტები, რათა სრულიად უშიშრად წარედგინათ იგი დასადასტურებლად მეცნიერების წინაშე, როდესაც თამამ მეცნიერულ გამოკვლევათ დაერთო შინაგან სულის უმაღლესი ინტერესი, ერთად-ერთ შეუმცთარ და უცოდველ ტრიბუნალ საკუთარ ზნეობრივ თვითშეგნების წინაშე წარსადგომად, როდესაც ამ ეჭვთა და კრიტიციზმის აღშფოთებულს ოკეანეში ინთქმების ყოველგვარი ტრადიციულნი რწმენანი და წარმოდგენანი, ისპობა ღმერთთა-ღმერთობა და საძირკველი ეყრება ახალ ღვთაების რწმენას—ხალხისადმი სამსახურს,—აი, თვით ამ აღფრთოვანებულ გატაცებათა დროსაც კი იდეალისტურ ბურუსში გახვეული ადამიანი მაინც ფოლადის ხელთათმანს იცვამდა და მზად იყო ვარსკვლავთა რიცხოვან მსოფლიოზე არსებული ხალხი და ტომნი მეფისტოფელისთვის შეეწირნა, ოღონდ ძლიერი, შემომქმედის და დამპყრობის სულის ენერგია მოეპოვებინა, რათა გამხდარიყო კეისარი ნაპოლეონი, მთელი მსოფლიოს მბრძანებელი, რომ ყველას მხოლოდ მისის ნებით შესძლებოდა არსებობა! ვაი მას, ვისაც არ ჰქონია ასეთი გატაცება, ასეთი სურვილები, არ შესძლებია არწივის ფრთებით უზენაეს მისწრაფებათა სამთავროში განავარდება!

თუ ინდივიდუმის ბედი და უბედობა შემომქმედ ხელზეა დამოკიდებული, ერის თავზედაც იგივე ითქმის. ყოველ ერის ცხოვრებაში უთუოდ რომ პირველი ადგილი უჭერია უზენაეს მისწრაფებათ და შემოქმედ ხელს. რაწამს მოდუნდება ერის შემოქმედებითი მაჯა, იგი თიხად გარდაიქცევა, მასსაად, უცხოთა ძლიერ ხელში ასაზელათ, უცხო სახედ ჩამოსაქნელათ. პირადათ ჩვენის ერის ტრაგიზმი, ჩვენის ერის აგონია ის არის, რომ უწინარეს ყოვლისა იგი ქართველთა შთამომავლობას ეკუთვნის! მართალია, ქართველი ერის თავს საუკუნეთა განმავლობაში ბევრი ვაება დაუთმენია, მაგრამ მასში ყოველთვის ვხედავდით ძალას, შემომქმედ ხელის ენერგიას. ქართველ ერის დღევანდელი ვაება სულ სხვაა წინანდელთან შედარებით, განსაკუთრებული! პოლიტიკურ დამოუკიდებლობასთანვე ქართველმა ერმა თითქოს სულიერად სიკვდილის განაჩენსაც მოაწერა ხელი. პასსიურად მიეცა მიმდინარეობას, შემოქმედების ენერგია თვითვე გამოიფიტა, მოდუნდა, საპყარი და დავრდომილი გახდა, თუმცა პოლიტიკურ სიკვდილის გარეშე მას არა ჰქონია სხვა საგულისხმო მიზეზი ასეთის დაცემისა და გასაწყლებისა სამწუხარო იჭვნეულობანი და ყოყმანი, დიდი მოთმენა და უადგილო, თუ გნებავთ, სასაცილო სერიოზობა, უგუნური თავხედობა, სადაც კეთილგონიერება თავდაჭერას მოითხოვს, მიდრეკილება განყენებულ და ბუნდოვან თეორიებისადმი, გაუბედავი სურვილებით, შიში უსახო და ფანტასტიურ საშიშროებისა, ხოლო უგნური მამაცობა სადაც თავის დაზოგვაა საჭირო შთამომავლობის ფუძის დასაცავათ, მასთან, თავისთავის უარყოფა და ნასესხებ იდეებით გამოკვება, თუნდაც ამ იდეებს არავითარი რეალი საფუძველი არ ჰქონდეს ჩვენში,—აი ის კონტრასტები, რისგანაც შესდგება მთელი ქართველი ერის ცხოვრება, აი ყველა ის სნება, რამაც მოადუნა და ჩაჰკლა ეროვნულ შემოქმედების ენერგია, რამაც მიიყვანა ჩვენი ერი სიკვდილის კარამდე. თქმა არ უნდა, ერიც მით უფრო მალე დაიმარხავს თავს, რამდენადაც მეტი მონა უჩნდება ამ სნებათა თაყვანისაცემლად. ასეთს შემთხვევაში, დიახაც, უმჯობესია ადამიანი ივლტოს სამშობლოს კერიდან, ვიდრე მოდუნებულ ბავშვურ თამაშში ბრმად ეწეოდეს უმზგავს-დამძიმებულს უღელს!

თვითეული თაობა იმ საზღვრებში ვითარდება, რომელნიც წინაპრებმა დაუტოვეს. რანაირ სახისაც უნდა იყოს ახალ თაობის მიერ ჩაბარებული საზღვრები, განადგურებული თუ დარღვეული, თაობა იგი მოვალეა ყოველი ღონე იღონოს და თვით ნანგრევად ქცეული შენობანი ახალ სიცოცხლის ხელსაწყო იარაღად გამოიყენოს. თუ იყო მოქალაქე და ქალაქი კი აღარა აქვს, დაე, ნანგრევთა შორის ამწვანებულს ველზე დაიწყოს მეჯოგეობა, ხელახლად იწყოს ცხოვრება, შეჰქმნას უკვდავებისა და სიცოხლის მხიარული ჰიმნი! თუ ჰომიროსიდან არისტოტელ-პლატონ-შექსპირამდე ავმაღლდით, მაგრამ დროთა სვლამ თავში ჩაგვკრა, ხახხასა განთიადზე შევქმნათ ახალი ოლიმპი ახალი ზევსით, და ჰომიროსიც კვლავ ჩამოჰკრავს თავის უკვდავ ჰანგს! თუ ჩვენი ისტორია, ეს ჟამთა მსვლელობის კეკლუცი მუზა, ათას ხმებით გვეჩურჩულება, ათას სალამურის ხმით გვატკბობს, მხოლოდ იმიტომ, რომ ცვალებადობათა ფოლადის რგოლთა წკრიალში ჩვენს წინაპართ სახელს გვასმენს, სხვა და სხვა სახით, მაგრამ ერთისა და იმავე გულით, იმ გულით, რასაც შეგვიძლიან მხოლოდ და მხოლოდ ქართველის გული ვუწოდოთ! მაგრამ ეს ჯაჭვი უკვე მეცხრამეტე საუკუნის ქარმა დასწყვიტა. დაშლილნი რგოლნი აქეთ-იქით მიმოიფანტნენ. მაგრამ მათთან ერთად მიმოიფანტა თვით სულიც: მიტომაცაა, რომ ჩვენი შინაგანი სიცოცხლე ქალურ სისუსტით შეიმოსა. ახალ შემოქმედებისათვის უძლურნი ვცოცხლობთ წარსულით, წინაპართა მოგონებით. საკმარისია გავიხსენოთ მათნი საქმენი საგმირონი, ვტანჯოთ, ვაწამოთ ისედაც მტრის მახვილ ქვეშ წამებული ჩვენი გმირები და ჩვენდა გასართობათ სადღაც ნასესხებ მქლე დრამის „სამშობლოს" მომქმედ პირებად გამოვსახოთ და სცენაზე გამოვიყვანოთ ისე. თავდაცვის ალლო ოდნავ ბჟუტავს კერის ძირსა, ათასში ერთხელ თუ ანაპერწკლდება იგი, ჰაერში გაღვივებით წინაპართა დევიზს კი არ გაგვახსენებს; „მორჩილება თუ ბრძანებლობა? ყოფნა თუ არ ყოფნაო?" არამედ იმას, თუ „როდის იქნება, რომ..." ჩვენი თვალები გადაეჩვია მაცდურ ჰვრეტას, ვერ შეგვიძლიან შევხიშნოთ მოთინათინე აჩრდილი გამომკრთალ „ქართლის დედისა", რომლის სახეც სავსეა სალმრთო წუხილით და ცრემლებით გაბრწყინვებული! კიდეც რომ დავინახოთ, წინაპართა ჩაჩქანი ჩვენ, ქონდრის კაცებს, მეტის მეტად ხალვათად დაგვადგება და სად შეგვწევს ძალღონე მის გადასაცმელათ და ფარხმალის ჩამოსაკიდათ? ვითარ შეგვიძლიან აღვმაღლდეთ წინაპართა მეფურს სიდიადემდე, რომ შემომქმედ ხელის ერთის მოქნევით დავნთქათ ჩვენის მოუძლურების ოკეანე?

არა, ჩვენ ის როდი გვაკვირვებს, თუ ბედმა გვიმუხთლა და დიდების მაძიებელნი წამოგვაჩოქა, არც ისა გვწყინს, თუ დედამიწას მხარი დავკარით და მშვენიერი ქალწულიც—„დიდება" შორს გაგვიფრინდა, არამედ ის, რომ ერი ჯანსაღი, საკუთარ ძალღონის შემგნებელი, უმზავსად მოეშვა და არა თუ წამოდგომას არ შეეცადა, არამედ ზურგიც კი იბრუნა მიწისკენ! როგორც უღირსი ფალავანი, იგი არა თუ წარბს არ იკრავს მეტოქისადმი შურის საძიებლად, თვით სირცხვილშიაც კი დაუკარგავს გრძნობა ვაჟკაცობისა, ყვითელი პირბადე არ მოსჩანს მის სახეზე, არც მოკუმულ ბაგეთ დასტყობიათ მოღუშჯო თრთოლვა. განა რომ ასეთს შემთხვევაში მეტია ლაპარაკი მაჯაზე, შემოქმედ ხელის ძიებაზე!

თუ გვსურს თიხად არ გადავიქცეთ და შევაჩეროთ ჩვენის ერის კვდომის პროცესი, თუ გვსურს დამცინავ ბედის ხელში სხვის სახურად არ ჩამოვიქნათ, მაშინ მხარდაცემულებმა უნდა შევტყორცნოთ მთლად სხეული, წამოვიწიოთ და შორს გაქროლილ ბედის დასაჭერათ ძლიერი ხელნი გავაპყროთ. ოჰ, თქვენ არ იცით, რა ანდამატი აქვს „შემომქმედ ხელს!" ბედი შორს ვერ წავა, ტატნობს იქითაც რომ იყოს გადაკარგული, უმალ გედის ფრთებით გამოფრინდება და თავს დაგვადგება როდენის ქალწულივით, ძირს დაცემულს კოცნის ველზე დაკრებილ ჰაეროვან ყვავილების გვირგვინს დაგიწნავს, სურნელს მოგაფრქვევს და მალე, ძალიან მალე ვიხილავთ საკუთარ ხელისგულზე ახალს თიხას, ახალს საკუთარს მეტყველებას, ახალის ცხოვრების ახალს სახეს! გვახსოვდეს, რომ ერისთვის არაა სხვა ღმერთი, სხვა მოქანდაკე, თვინიერ თავის ხელისა! დაცემა, აღდგომა და დაპყრობა საკუთარის ხელით შეიძლება, ძლიერი შემომქმედი ხელით! თუ ეს ვერ შესძლო ჩვენმა ერმა და სხვას მოუხმო, სხეულთან სულსაც დაჰკარგავს, მისი სახეც მთლად წაიშლების და უცხო მოქანდაკის ხელში უბრალო თიხად იქცევის!

ღ. კახრაძე.

# ტაბლაკთან

არა იმისთვის გაგიზიარე
ჩემი ოცნება და ხვაშიადი,
ვითომ დავმარცხდი და დამარცხებამ
გადამაფარა თვისი წყვდიადი...
ჰეი, მამაკაცო! ტკბილ ნადიმის ჟამს
გვერდზე მოისვი შენ მეგობარი,
წითელი ღვინით აავსეთ ჰიქა
და შეჰსვით ჩემი შესანდობარი...
ვნანობ: რად ავხსენ ჩემი ოცნება,
ან ხვაშიადი რამ მათქმევინა!
აბა ვისა ჰსურს მკვდრებში ჩამთვალოს?
ჩემს შესანდობარს ვინა ჰსვამს, ვინა?
არა იმისთვის გაგიზიარე—
მომგებებოდით, შესანდობარით;
დასწიეთ ხელი! ჩამოდგით ჰიქა!
ჩამოდგით, თორემ ჩამოვდგამ ძალით.
ჰო, ძალით, ძალით! იმავე ძალით
დაგალევინებთ ჩემს სადღეგრძელოს
და ვაიძულებ თქვენს ამალასაც,
„მრავალ ჟამიერ" ჩემთვის იმღეროს.
არა! თავისი კეთილი ნებით
მე მადღეგრძელებს თქვენი ამალა,
ისე დაათრო ამ სადღეგრძელომ—
ვემუდარები: მგონია, კმარა!

—

ფიალამ, რითაც მიდგა სასმისი,
მოინადირა ჩემი ძალ-ღონე...
მოინადირა... დავთვერ ეგების,
დამარცხებული ამად გეგონე?
ფიალა... მაგრამ რად გეკითხება
ან ეს ფიალა, ან ეს სასმისი!
სჯობდა: ოცნება და ხვაშიადი
არ გაუმჟღავნოს სხვამან სხვას მისი.
თქვენ ინადიმეთ! მეც აქ ტაბლაკზე
მიდგა სასმისი ფიალით ჩემით...
ყიჟინ-განგაში შესწყდება თქვენი
და თავს ჩაჰქინდრავთ მთვრალურის თვლემით.

სამადლობელი თუ გაგახსენდათ:
წინ წამოჰქანდით, ჰიქებს აკოცეთ;
ცოცხლებს უთხარით შესანდობარი
და სადღეგრძელოთ მკვდრები დაჰლოცეთ!

ამორძალი.

# ბასი

XXV*)

**უცნაური დავა**

ყველაზე საწყენი ბ-ნ არლის წერილში ისაა, რომ ისტორიას ისე უცქერის, თითქოს ისტორია იგი ავლაბრის დუქანი, ან ბაკები იყვეს, სადაც მოგროვილ - შეზავებულია ყოველგვარი უსუფთაობა და უწმინდურობა. ასეთი ესთეთიკა, არლის ფიქრით, ალბად „მაღალ კულტურის" უებარი ნიშანია.

ბ-ნი არლი ბრძანებს: შემოგვესივნენ ჩერქეზები, აფხაზები, დაიჭირეს ჩვენი ტერრიტორია ძალით და რა გვექნა, რომ აქეთ არ წამოვსულიყავითო. ეს ისტორია კი არ გახლავთ, სრული ლირფომაა, უფრო კი ბაზაზხანაში შეხანხლილი მატრაბაზობა.

მთელი სამოცი წელიწადი ებრძოდა რუსეთი კავკასიის მთას და კერძოდ ჩერქეზეთს. უკანასკნელმა ბრძოლაში ჩაითრია აფხაზეთიც. ჩერქეზი იცავდა თვის მიწა-წყალს, სამშობლოს, თავისებურ ცხოვრებას, თავისუფლებას ისე, როგორც ესმოდა ეს თავისუფლება. გასწყდა წელში ამ დაუსრულებელ ბრძოლით, მაგრამ ქედს მაინც არ იხრიდა რუსეთის მხედრობის წინაშე. ბოლოს, 1864 წელსა, საბოლოოდ დამარცხებულმა თავი დაუკრა რუსეთს როგორც ჩერქეზეთმა, აგრეთვე აფხაზეთმა. მაგრამ რუსეთი არ ენდობოდა არც ერთს და არც მეორეს და გადასწყვიტა მათი აყრა და განდევნა მთიდან. ასეთი სასტიკი აზრი დაებადა გენერალ-ადიუტანტს ევდოკიმოვს და სისრულეში მოიყვანეს კიდეც 1865 წელს.

ოფიციალ, შემოწმებულ ცნობათა მიხედვით სულ გადაასახლეს ნახევარ მილიონი ადამიანი. ვინ იცის, რამდენი გადიხვეწა სამშობლოდან ისე, რომ მთავრობის სიაში ვერ შეიტანეს და ვერ აღნუსხეს.

ძალით აყრა ერისა და განდევნა სამშობლოდან საშინელი დრამაა, ტრაგედიაა ერის ცხოვრებაში და უპატივცემულოდ მოხსენება ასეთის ამბისა შეუძლიან მარტო იმას, ვისაც ბაზაზხანა, ან ავლაბრის ბაკი „პარიჟის სალონიდან" ვერ გაურჩევია.

გეხსომებათ საუცხოვო მოთხრობა ალ. ყაზბეგისა ელისო. ტანჯვა მოხუცებულ ანზორისა ქვას გახეთქავს, ისე ღრმაა და ძლიერი სამშობლო კერის დატოვებით გამოწვეული. მწუხარება. ანზორის სულის კვეთება სულისკვეთებაა მთელის ჩერქეზეთისა და აფხაზთა.

განდევნილნი და აყრილნი შეივრდომა ერთმორწმუნე ოსმალეთმა და დაასახლა იქ, სადაც სომხები არ მოსახლეობდნენ.

მომეტებული ნაწილი გადმოხვეწილთა გაწყდა, გაიჟლიტა, ზოგმა ვერ აიტანა ჰაერი, ზოგმა წყალი; ზოგს ბოლო მოუღო სამშობლოს სევდამ. ჩერქეზ ლამაზ ქალებით გაივსო ჰარამხანები და დაირღვა ოჯახი, ჩაჰქრა კერა. ნახევარზე მეტი სულ მცირე ხანს გასწყდა, ასე რომ ანატოლია (და არა სომხეთის ვილაეთები) შეიქმნა ერთ უშველებელ აკლდამად. ამას ამბობს კარგად ცნობილი ჩვენში მცოდნე კაცი და რა საბუთი გვაქვს, არ ვიწამოთ მისი მოწმობა და რწმუნება.

ბევრმა ჩერქეზმა და აფხაზმა დააპირა უკან დაბრუნება. ოსმალოს მთავრობის დაუკითხავად და უნებურად იპარებოდნენ ანატოლია-ფრაკიიდან, ქირაობდნენ იალქნიან ხომალდებს და მოსცურავდნენ შავის ზღვის აღმოსავლეთ ნაპირებისაკენ, მაგრამ ნაპირზე არ უშვებდნენ და უკან ერეკებოდნენ.

აი ესაა ნამდვილი ისტორია და არა ის, რაც მოჩმახა ბ-ნმა არლომ.

ჩერქეზთა მსგავსი ტრაგედია სომხის ერმაც განიცადა წარსულში. არტემა არარატელი მოგვითხრობს გულ შემზარავ ამბავს. სპარსეთის მთავრობამ განიზრახა სომხის ერის გაჟლეტა თვის სამფლობელოში და შეუდგა მათს აკლებას. გულგახეთქილმა ერმა პირი მდინარე არახსისკენ იბრუნა და მრავალმა მათგანმა მშვიდობით მიაღწია მდინარეს. აქ წამოეწია ჯარი და ეკვეთა. წინ წყალი და უკან მეწყერიო, სწორედ ეს დაემართათ გამოქცეულთ. საცოდავნი შიგ მდინარეში შეცვივდნენ, ეგები ცურვით სამშვიდობოში გავიდეთო. ათასობით დაიხრჩო მდინარეს ზვირთებში სომხობა, ხოლო ვინც გადარჩა სიკვდილს, ან დახრჩობას, ზოგი საქართველოში დაბინავდა, ზოგი ყირიმს და ზოგიც პოლონეთსა და ჰუნგრეთში.

ბ-ნ არლოს რომ ჰკითხოთ, ამ უბედურების მიზეზად ჩვენ ქართველები, „ვურჯები", ყაჩაღი გურულები და ჩერქეზ-აფხაზნი გამოვალთ, რადგან, ვინ იცის ეგები მტარვალ შაჰ-აბასმა რამდენიმე აწიოკებულ და აყრილ სომხების ნასოფლარი მიუჩინა დასასახლებლად იმ ქართველებს, რომელნიც ცხვრის ფარასავით გაირეკა კახეთსაინგილოდან მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში და გადალალა ირანში.

ბ-ნ არლოს სურვილი საქართველოში დამკვიდრებისა და მოძებნა ისტორიულ-იურიდიულ საბუთისა ასეთი უსაბუთო დაბინავებისთვის ისე ძლიერი და თავბრუს დამსხმელია, რომ ავიწყდება უბრალო რამ. არა, ვინ ოხერი შეეცილება თვისის ნებით და სურვილით აზრუმსა, მუშსა, ბითლისსა და დიარბექირს. ქვეყანა მთა-გორიანი, კლდიანი, თოვლიან-ყინულიანი ვისთვისაა სახარბიელო. მარტო წავის სუნი რომ იანგარიშოთ, საკმარისია იგი, რომ გულით უსურვო პატრონს, ღმერთმა მოგახმაროს უკუნისამდე.

ალ. ყიფშიძე.

---

*) „ბასის" სათაურით ჩვენს გაზეთში წერილები რომ იბეჭდებოდა, ა.—ლის ფსევდონიმით, აწ განსვენებულ ალექსანდრე თევდორეს ძე ყიფშიძეს ეკუთვნოდა. განსვენებულს ჰჩვეოდა ტკბილის ქართულით და თანაც გრძნობის სიმწვავით ებაასნა მკითხველებთან მიმდინარე ქართულ საჭირბოროტო საკითხებზე. ეს მორიგი წერილიც, იმ არლოს საპასუხოდ დაწყებული, რომელმაც მეგრელ-აფხაზობა ყაჩაღებად მონათლა და უდიერად მოიხსენია, განსვენებულს დაუმთავრებელი დარჩა; მაგრამ რაც დაწერილია, იქიდანაც ნათლად სჩანს ავტორის აზრი და ამიტომაც გვსურს ჩვენს მკითხველებს ერთხელ კიდევ ვაგემოთ ა.—ლის „ბასის" ლაღი გონება და მისი ნამდვილი ქართული კილოს საღი სურნელობა.

რედ.

# გრძელ ხელში

ერთს ნიჭიერ ახალგაზრდას [illegible] იდგინეთ, არა პოეტს, ჩამომავლობით დასელს, ფრიად მოსწრებული სიტყვა წამოსცდენია:

ჩვენში სამი გაზეთია: „აზრი", „სახალხო" და „საქართველო". „აზრს"—აზრი არა აქვს, „სახალხოს"—ხალხი არა ჰყავს, „საქართველოს" საქართველო არ გააჩნიაო".

დანარჩენებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ „აზრს" კი ჩვენის აზრით, უსამართლოდ ეკიდება ენამახვილი ახალგაზრდა.

მართლა რომ ასე ყოფილიყო, თქვენი მტერი, წასული იქნებოდა ჩვენი საქმე, მაგრამ, საბედნიეროდ, „საქართველომ" უკვე ჰპოვა საქართველო, „სახალხოს" ხალხი დაჰხვევია, თუმცა ეშმაკმა იწყის, რას ერჩიან, ხოლო „აზრი" მიაგნებს როდისმე აზრიანობას თუ ვერა, ეს მომავალის საკითხია. წარსულში კი „აზრმა" დიდი სამსახური გაუწია ჩვენს ქვეყანას და განამტკიცა მარქსისტული ეკონომია, თუ ეკონომიური მარქსიზმი. ამისი საბუთები უარებელი მოგვეპოვება.

**აქა ამბავი ქათმის ექსპლოატაციისა**

„ბატონს ამა უყვარდა უსმელ-უჭმელი, ტანთ-ჩაუცმელიო", რომ იტყვიან, სწორედ ასე იქცევა თურმე ერთი ცნობილი მემამულე გარეკახეთისა თავისს მოურავს და, წარმოიდგინეთ, ქათმებსაც. მას ასეთი ეპისტოლე გაუგზავნია მოურავისათვის:

„მსოფლიო ამა საკენკი დააძვირა. ქათმები საძოვრზე გარეკე. კვერცხები დანომრე, ბაზარზე გაიტანე და აღებულ თანხით ზვარს მოუარეო". ამბობენ, გერმანელები დიდი თაოსანი და ეკონომის ხალხიაო, მაგრამ ჩვენებურ ეკონომისთან ფას!

ათიოდე ქათამ დღეში ორ-სამს თუ არა, თითო კვერცხს ხომ დასდებს (თუ არ დასდებს ძალად დაადებინებენ). ჩვეულებრივი კვერცხი, ბაზარზე ორ შაურად იყიდება; დანომრილი კვერცხი, ცხადია, თითო აბაზად მაინც გავა... ასეთის შემოსავლით ზვარს კი არა ჩვენს დაბეჩავ მტრსაც ააგებდა ადამიანი.

აი, ამასა ჰქვიან ეკონომიურ მარქსიზმის შეგნება და ხნორცელება.

**აქა ამბავი ურქიხა**

ჩვენში მხოლოდ კვერცხების ეკონომია როდია გავრცელებული. ასევე ფრიად გავრცელებულ გახლავთ ეკონომია საკუთარის ქურსა. ამისი მაგალითი ჩვენმა მოძღვრებმა მოგვცეს. ეს სულ რამდენიმე დღის წინ მოხდა, სწორედ მაშინ, როდესაც ჩვენს დედაქალაქში ანუ, ხატისისებური ენა რომ ვიხმაროთ, „ჰქარა შერთულ კავკასიის უძველეს ქალში" სამღვდელოების ყრილობამ ავტოკეფალიაზე დასძრა ენა, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, თავისი თავის ძიებას შეუდგა.

ხუმრობა ხომ არ გახლავთ! ცხრაას ხუთში მათრახებით დაზნებული ქატიბი როდისმე მაინც არ ნდა დაეკონკებინათ? დიაღ, საჭირო იყო; და ისე ოსტატურადაც დაასკეს, რომ ვგონებ, უმრავლესობამ მაინც სამუდამოდ უზრუნველჰყოს თავის ნებიერი და უნებური ცახცახა ქური.

ცხარე სიტყვებით კაკალს მტვრიეს, შეადგინეს უსტარი და რჩეული ხალხი წარგზავნეს, სადაც ჯერ არს. გამგზავრების წინ დეპუტაციამ ასოებით პირჯვარი გამოისახა, კაროზად გულზედ დაიკიდა ეშმაკის [illegible], პირში ნახშირი ჩაიდო, რომ გზაში ბუ არ შეეშინებინა, გაბედულათ გაემართა თავის მეუფის უძირო ჯიბეში მიმავალთა.

ყველანი ერთად წარუდგნენ უზენაესს. უმაღლესმა მეუფემ ერგულების გამოღებისათვის თავზე ხელი გადაუსვა ჯიბეში მიკუნჭულ დეპუტაციას და ღიმილით,—თავისებურის ღიმილით—გამოისტუმრა. თან კრაყოლა შუქი მოელვარე თეთრის ქისა.

დეპუტაცია ხვითქ-გადადენით ამოძვრა მეუფის ჯიბიდან, ხოლო სტარი ავტოკეფალიისა—იქვე მიავდა.

ამ გაბედულ ნაბიჯში უკვე სხვარი ეკონომიაა: ჯერ ერთი, საზოგადოების თვალში პირნათლად გამოვიდნენ, მეორე—მთავრობის მადლობა დაიმსახურეს; მესამეც—ძველმანებით დაჩხვლეტილი ქურქი მთლიანად გადაიჩინეს; მეოთხეც, თავისს მეუფეს ასწავლეს, თუ როგორ უნდა გაუფრთხილდეს იგიც თავისს ნაზ ბეწვიან ქათინს.

**აქა ამბავი „ლოტოეთისა"**

მაგრამ ზემო ნათქვამი, ფსიქოლოგიურ-ეკონომიურ-მღვდელთმოძღვრულ გულის კანკალებითი ეკონომია ამ დვილი კოოპერატიული ეკონომია „ლოტოეთში" გახლავთ გამეფებული. მოგეხსენებათ, „ახალ კლუბს", მეორე სართულში აქვს ეგრედ წოდებული ღამის თავშესაფარი ლოტომანთათვის. ნია საერთოდ რთული სნეულებაა, მაგრამ ფსიხიატრები მაინც აწარმოებენ ასეთ სნეულებასთან ბრძოლას. მაშ ხლისთა საბჭოსაც მიუჩნია უაღრესად მეცნიერულ წამლობისათვის. ლოტომანიით შეპყრობილთათვის ასე ჯანსაღად მოუწყვია დარბაზი, რომ ზევიდან და ქვეიდან გრილი სიო სა-

რად მოსისინებს და ლოტომანთ თავფეხს უგრილებს. კარგი დაგემართოთ, კარგი და ჰიგიენური იყოს ასეთი წამლობა, გარნა შუა წელს სიო სრულებით არ ეკარება. იმედი უნდა ვიქონიოთ ნიჭიერ ხუროთმოძღვრისა, რომ გვერდის კედლებსაც შესაფერ ჩვრეტილებს გაუკეთებს, რომ „სალოტოეთში“ მომწყვდეულ სტუმრებს თანაბრად უვლიდეს სიო. ურიგო არ იქნებოდა, თუ ფიცრის ჭერს ხანდახან მაინც აჰყრიდნენ, რომ თოვლის ნაფერთლებით დაიფაროს „პაკრიშკა“. მაშინ უფრო ბევრი გაათავებდა ერთად და ბევრიც გათავდებოდა.

მეორე უდიდესი ღირსება ამ საკულტურო დაწესებულებისა ის გახლავთ, რომ აქ შეუმჩნევლად სწარმოებს ეკონომია ტვირთის შემსუბუქებისა: რაც უნდა დამძიმებულ ჯიბით მიბძანდეთ, ისე მჩატეთ და მსუბუქათ წამობრძანდებით, როგორც მწყერჩიტა—ჯიბეში აღარავითარ სიმძიმესა გრძნობთ, სამაგიეროდ, შეიძლება, ჯიბის სიმძიმე გულზე გადავიდეს და თავამდეც მიაღწიოს.

**აქა ეკონომია მანათიანისა.**

რაკი ეკონომიაზე გავაბით ბაასი, არ შემიძლიან ერთს ფრიად დამახასიათებელ მოვლენას არ მივაპყრათ მკითხველის გულის ყური.

ჩვენი ხალხი რომ ხელმოკლეა, ამას რაღა ლარი და ხაზი უნდა, მაგრამ სადაც ხელი მიუწვდება, მამაპაპურად წინ მიდის, უკან დახევას ჩვეული არ არის. რამოდენიმე წელიწადია, ყველანი მხურვალე გულით მივისწრაფოდით კულტურულ საქმიანობის ფერხულში ჩასაბმელად, მაგრამ „ზუბრები“ არ გვიშვებდნენ, ისეთი მაზანდა დაეწესებინათ, მაგალითად, წერა-კითხ. გამავრცელებელ საზოგადოებაში წევრად შესასვლელად (სულ სამი მანათი გახლდათ მას ჟამსა შინა), რომ ჩვენი ხელმოკლეობა ვერა სწვდებოდა. ღელო გავიტანეთ, მაზანდა დავწიეთ, წელიწადში მხოლოდ 1 მანეთზე დავიყვანეთ, მაგრამ ჩვენი ხელები მაინც ვერ დაგრძელდა, პირიქით, შარშან სრული 245 წევრი დაჰკლებია წ.-კ. საზოგადოებას. ეს ეკონომიური მარქსიზმია, თუ მარქსისტული ეკონომიაა, არ ვიცით, მაგრამ დღევანდელ ბედნიერ დღეს იმდენი მტერმა იკვნესოს, რამდენი კვნესით განტევებულ ქათამინდოურ-გოჭ-ბატის ხორცი გაიგზავნოს მოუკუპრავში!.. ლუკმის ჩასაგორებელისა რაღა მოგახსენოთ! ამდენ ეკონომიასთან, ბარემ ეს საწევრო ფულის ეკონომიაც ზედ მიგვეყოლებინა!.. მაგრამ ნათქვამია: „ღმერთმა ერთი ვით აცხონოს, თუ მეორე არ წაწყმიდოსო!“

**აქა ეკონომიაენერგიისა.**

ყველაზე უხენაეს ეკონომიას, ჩვენის დაკვირვებით, კულტურულ საზოგადოებათა კავშირი ეწევა. მას ზედმიწევნით შეუთვისებია ის მრწამსი, რომ, რაც უფრო ბევრი გამოუმჟღავნებელი ძალა-ენერგია იმარხება რომელსამე არსებაში, საზოგადოებასა თუ ერში, მით უფრო ფართეთ გაიშლება მისი ბუნება და ხელშემწყო პირობებში უაღრესად გაშლის ფრთებს. ამ საუცხოვო მრწამსს იგი დღევანდლამდე პირნათლად ასრულებს და თავისის არსებობისა დღიდან, მისდა სასარგებლოდ, ერთხელაც არ უღალატნია მისთვის. არხეინათ უნდა ვიყვნეთ, რომ თუნდაც ქვეყანა ქვეყანას ეცეს, თუნდაც შიმშილმა, შავმა ჭირმა და ღოზანამ შთანთქას ჩვენი ქვეყანა, იგი წარბს არ შეიხრის, და სათუთად გაუფრთხილდება თავის დაფარულ ძალღონეს, რათა მომავალ თაობას, თუ კი ასეთს მოესწრო, პირნათლად ჩააბაროს წინაპართაგან გადმოცემული ენერგია და ძალა.

**აქა ეკონომია მეტყველებისა.**

სამაგიეროდ, ენერგიის დაზოგვა არ გვეხერხება კრებებზე. დღეს, მოგეხსენებათ, შობის დღეა, ღმერთმა მრავალი შობა გაგითენოთ. დღევანდელ დღეს შვა ქრისტე, დღევანდელ დღეს თუ, რა თქმა უნდა, სიტყვების ეკონომიას გავწევთ, უნდა იშვას ქართ. დრამატიულ საზოგადოების ახალი გამგეობა.

როგორც წინადაც მოგახსენეთ, ჩვენმა ნიჭიერმა ვექილებმა თავისი უტყუარი ნიჭი კვლავ დაგვიმტკიცეს!.. ელოკვანსის (ენაწყლიანობის) საუცხოვო ნიმუშები მოგვასმენინეს, გამგეობა თოვლის ნაფერფალივით უმტვერო წარმოგვიდგინეს, მაგრამ მამლის ქურდის არ იყოს: „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო“. ცოტათი სიტყვის ეკონომია რომ ვიცოდეთ და საქმის კეთება, ვგონებ, უფრო მოგებული ვიქნებოდით, თორემ ეხლა ისევ უნდა გავიმეოროთ წინად ნათქვამი:

ხალხი უნჯი—მოუცლელი—
დაგვდგომია სათავეში,
ერის საქმეს—პირუთვნელი—
მისწვდომია სადავეში
და აფერხებს... გულიც სტკივა,
სულ წუწუნებს და „გაჭკივა“*).
ურემი კი იქავე სდგა,
საც დაეფლო, საცა იდგა!

შოლტი.

P. S. ვთხოვ ადგილობრივსა და პროვინციელ მკითხველებს გაგვიზიარონ საქმენი საგმირონი ადგილობრივ მოღვაწეთა, რათა ჩვენს „ბრუდე სარკე“-ში ჩავახედოთ და თავისი მშვენიერი ფარტრეტები დავანახოთ.

მასალები გამოიგზავნება „საქართველო“-ს რედაქციის სახელობაზე ზედ წარწერით—„შოლტისათვის“.

შოლტი.

## დანგრეული ბუდეები**)

რამდენჯერმე ვთხოვე დაემუშავებინა თავისი დღიური.

მპრიდებოდა.

ეხლანდელი ომის დაწყებისთანავე ჩემი ნაცნობი ჯარში გაიწვიეს.

გამოთხოვებისას თავისი ძველი დღიური გადმომცა და მითხრა: მე ცოცხალი ვერ დავბრუნდები—იქნებ შენ მაინც ისარგებლო ჩემის შენიშვნებით... მართალია ძლიერ არეულადაა დაწერილი, ზოგიერთ რამეს მაინც გაიგებ.

წინასწარმეტყველება აუხდა—პირველ შეტაკებაში ჩემი ნაცნობი მოჰკლეს.

გულწრფელი ადამიანის და კეთილი ნაცნობის სურვილს ვასრულებ.

თუ მკითხველს რამე მოეწონება, შენდობა გაუგზავნოს განსვენებულს, უსახელო ავტორს; ნაკლულევანებანი—ჩემი დანაშაულია.

ამ დღიურის სათაურად უკეთესი ვერ მოვნახე; დანგრეული ბუდეები.

**წინასიტყვაობასავით.**

ჩვენს დაობებულს, ბევრის ჭირისა და ბევრის ლხინის მნახველს სახლს, თვით აშენების დროსვე, მგონი, შემოაფარეს თავი მერცხლებმა.

გამოჩეკდენ მერცხლები ბარტყებს და გაუდგებოდენ შორსა გზას... მაგრამ შემდეგს წელს, თუ ძველი თაობა არა, ახალი მაინც მოვიდოდა უკანვე, და ვინ იცის, იქნებ, ისეთისავე სიხარულით შეხედავდენ პატარა ძუძუმწოვარა ბავშს, რომელიც ოჯახს შემატებოდა, როგორც ჩვენ სიამოვნებით ვხვდებოდით ამ უწყინარ, მალხაზა ფრინველს.

სახლს ხშირად ბევრი რამ დჰაკლებია, ხან კი შევსებულა, გამშვენებულა.

ჩიტუნიებსაც ბევრჯერ სრულიად დანგრეული დახვდომიათ ბუდე, მაგრამ მალე შეუკეთებიათ, ან ახალი ისეთივე აუშენებიათ.

ერთს წელს ოჯახში შევიყარეთ ყველა წევრი. ძველი მეთაური აღარავინ იყო და ახალმა თაობამ არია მონასტერი. ვინ ალთას მიდიოდა, ვინ ბალთას: ჩემი უფროსი ძმა გვირჩევდა ვენახები სრულიად აგვეჩეხა, რომ ხარჯებს გადავრჩენოდით; დას, რომელსაც მთელი 20 წელიწადი არ გახსენებოდა სწავლა, პარიზში წასვლა სურდა განათლების მისაღებად; რძალი გვირჩევდა მარანი სახლის ქვეშ მოგვეწყო, რომ ერთს ადგილას გვქონოდა ყველაფერი თავმოყრილი. მეორე ძმა—გავიყოთო, გაიძახოდა და დედა კი გვირჩევდა: „საზღვრების შესარგვალებლად“ ბანკში დარჩენილი ვიღასიც მამული დაგვეხსნა. ერთი დაჲ კი გვიმტკიცებდა, ადგილები მშრომელ გლეხობას გადაეცითო.

პატარა ჩემი დისწულის სიტყვები ეხლაც ყურში ჩამწივის: „პროლეტარიატის ძირითადი მოთხოვნილებანი არ იქნებიან დაკმაყოფილებული თვით ინგლისის პარლამენტში... ჩვენთვის საჭიროა სოციალისტური რესპუბლიკა...

ჩვენს სახლს არც იმდენი სიცილხარხარი მოსწრებია და არც იმდენი ჩუმი კვნესა და ხმა მაღალი კამათი.

ერთხელ, როცა აივანზე დავდიოდი და პაპიროსის კვამლს შევცქეროდი, თავზე დამეცა ჭერიდან ჩამოვარდნილი ბუნდღლიანი გამხმარი ტალახი. ჭერისკენ ახედვაც არ იყო საჭირო, რომ მიმხვდარიყავი, თუ საიდან გაჩნდა იგი—იგი იყო მერცხლების ბუდის ნანგრევი.

ავიღე გრძელი ჯოხი და მერცხლების ბუდეებს ერთიანად ნგრევა დავუწყე.

ერთი კი მითხრა დედამ, რათ ანგრევ, შვილო, მერცხლებს კიდევ გამოადგებაო, მაგრამ ჩემი არ დავიშალე—მერცხლები გაფრენილი არიან, არ დასჭირდებათ მეთქი ვუპასუხე—და განვაგრძე ჩემი შრომა—მოძველებული ბუდეები სრულიად ჩამოვაგდე და აივნის ჭერ-კედელი გავანთავისუფლე.

სანამ კარგი ტაროსი იდგა, არავის მოუკითხავს ბუდეებისთვის, მაგრამ სიცხეების შემდეგ, უეცრად მოვიდა ქვეთი-წვიმა.

საიდანაც არ იყო, ჩვენს აივანს მოაცვინდა სამი პატარა მერცხალი.

— დედა, ეხლა საიდან გაჩნდენ მერცხლები?

— ნაგვიანები იქნება, შვილო,—მიპასუხა დედამ—აკი გეუბნებოდი, ბუდეებს ნუ ანგრევ მეთქი.

პატარა მერცხლები ეპოტინებოდნენ ნაბუდრალს, ვერ იკიდებდენ ფეხს აჯდებოდენ აივანზე გაბმულ ბაწარს, თრთოდენ სიცივისგან, ვარდებოდენ იატაკზე. ერთმანეთს ეხუტებოდენ და არ იცოდნენ, რა ექნათ.

გავაღე ოთახის ფანჯრები, რომ იქ მოეთბოთ თავი, მაგრამ ჭამათ... ისინი როგორღაც ეღურტულებდნენ, რაც მე კვნესათ მეჩვენებოდა და ყოველ მათ ჟრიამულში მე ვკითხულობდი სამდურავს.

— გაისათ ჩვენ მაგიერ აქ დაგვხვდებათ ბეღურა და უფხუაო.

ჩემთვის ცუდად დამთავრდა ეს შემოდგომა.

* * *

სხვებს შეიძლება არც კი ენახოთ, ან ძველს მოგონებას გადაეფარა უფრო საგულისხმიერო, მე კი ვერ ვივიწყებდი თვალუწვდენელი ჩალის ზვინის დადგმას...

აი მოიტანეს, და მოიტანეს ურმებით შეკონილი ჩალა... მთელი ეზო დაფარა ჩალამ. მოიტანეს თვალუწვდენელი მსხვილი ჭოკი. სამმა ძლივს ჩაასო... დაჰყარეს ქვევით ფიჩხი და მერმე მწყობრად ზედ შემოაწყეს კონები... ერთ წყებაზე მეორე წყება... ზვინი იზრდება... თადეოზა ირგვლივ უტრიალებს ძელს... ჯერ ხელით აძლევენ კონებს... ის რიგზე ირგვლივ აწყობს... მერმე ფიწალით აწვდიან. ნელნელა უახლოვდება თადეოზა წვერს და თან ზვინის სისხოც წვრილდება... აი ავიდა მთლად წვეროში... იქ რაღაც სახურავისსებური გაუკეთა ძნას და ჯამბაზურად ჩამოყვა გაგდებულ თოკს...

ეზო მოკრიალებულია... ჩალის ფოთელი აბრეშუმის არშიათ აგერ-ეგერ აგდია... მაგიერათ სდგას ერთი დიდი-დიდი ქარვის ბოხოხი.

ერთი ძარიანი ურემი, მეორეს მოჰყვებოდა... ყველას ვუმასპინძლდებოდით არაყით, ღვინით... სცლიდენ მარდათ ძარს და მკლავის სიგრძე ტაროებით სავსე გოდორს რომ დასცლიდნენ, ზედ დააძახებდნენ:—„ხვავე“! დაიფარებოდა მარნის უკანა კარი, დაიფარებოდა საწნეხლები, ავიდოდა სიმინდი ჭერამდის, წინა კარის გაღებასაც აჭირვებდა მოზვავებული სიმინდი.

და რა მშვენიერი იყო სიმინდის სარჩევად მოწვეული ნადი.

მთელი კვირა ვემზადებოდით... დანიშნულ დღეს სამზარეულოში ფუსფუსებდნენ, თითქოს ქორწილს ელიანო... დაღამებისას შეგროვდებოდნენ... გოგო, ბიჭი, მოხუცი, ბავშვი... პირველად ძლივს მიუჯდებოდნენ სარჩევად მოზვავებულ ტაროებს. იყო ზღაპარი, სიმღერა, ლექსი, შეკამათება... იღლოდა გასარჩევი და იზრდებოდა გარჩეული ქარვასავით ყვითელი სიმინდის კალო... საწყალი თედორეს რა მაგარი შუბლი ჰქონდა... უდიდეს ტაროს თავზე გადიტეხდა... ისე... მხიარულების გამოსაწვევად... ჩვენ ბავშვებსაც გვქონდა საქმე—ზევიდან ქვევით უნდა ჩამოგვეყარა სიმინდი... უნდა გაგვეტანა ფუჩეჩი კარში... დღესასწაული იყო საქონლისთვის... ძროხა, ცხვარი, ხარი, ღორი ხარბად ეტანებოდნენ სურნელოვან ნაქურჩალს და მათ შორის ჩატოვებულს ჰყინტს, ფუჩეჩში შემთხვევით ჩარჩენილს სიმინდს...

შუაღამე გადავიდოდა, ვახშამზე დავჯდებოდით და იწყებოდა ქეიფი, სმა, პაექრობა... ცეკვა და სიმღერა... ამაყი ბიჭი საჭიდაოთ იწვევდა მეორეს და რბილ ფუჩეჩში გალაღებული დიდხანს კოტრიალობდენ მოალერსე კატებივით...

ან და რთველი... ვენახის მოკრეფა... საწნეხლის გაზელა, საშინელი სიმძიმის ქვეშ ხარხინის კვნესა და პერანგიდან მერატაფაში შხუილით მჩქეფი ტკბილი; ჭურჭელს ვერ ვშოულობდით; დუღილის დროს ჭურიდან ამოსული ქაფით დამთვრალ ცხენის ჭიხვინი, მოხუცი საქონლის უმიზეზო სირბილი, ღორების ჩხუბი, ქათმის კაკანი... აღარაფერი ამის და გვარი...

საუკეთესო ვენახი გააჩეხრებილიყო და ყურძენმა ვერ დაფარა საწნეხლის ძირიც...

ნადი არ გვიწვევია... ჩვენ და ორმა მოსამსახურემ ხუმრობით გამართულ „სიმინდის რჩევაზე“ ოციოდე გოდორი ძლივს ავავსეთ.

დარცხვენილად გამოიყურებოდა შემხმარ ხის შტოებთა შორის ასამდის კონა ჩალა.

რისთვის ღა მომეცადა?

წინათ,

როცა...

ოქროს წვიმათ წამოვიდოდა ფოთოლი. ურმები შეწყვეტდნენ ჭრიალს. მზეს ეკარგებოდა ძალა. სხივებით უხვად მოქარგული ნაჭერ-ნაჭერ ღრუბელი მოუხშირებდენ ცის კამარაში სრიალს.

ღამეები საოცნებოთ რთავდნენ ჩვენს დიდ ეზოს. ხეთა ჩრდილს გააწვენდა მთვარე, თვით ხეებს უკარგავდა ფერს და თეთრის მკრთალის სინათლით გააბრწყინვებდა მთელს არეს.

აიყრებოდა მთელი ჩვენი ოჯახი. ჩვენ მეზობლებიც, რთველ გადახდილი, წამოგვყვებოდნენ.

ერთი თუთხმეტი ცხენოსანი მოვიყრიდით თავს. ჩვენ ბავშვები ხშირად ჩამოვრჩებოდით უკან, რომ მერე ჭენებით დავწეოდით უფროსებს. ჩვენი ჟრიამული ჯერ ყმაწვილებს აიყოლებდა და მერმე ხანს გადასულნიც ვერ მოითმენდენ, მხოლოდ დედა გვიძახოდა:

— წყნარა, ბავშვებო, წყნარა... ცუდი გზაა, ცხენი არ წამოგვცეთ!..

მაგრამ ვინ დაუჯერებდა, როცა თვით მამა იორლა—გავარდნილი თოხარიკით მიაქროლებდა თავის საყვარელ ბახას.

სულ ორი საათის სასიარულო გვქონდა, მაგრამ ერთს მაინც შევისვენებდით, იქ სადაც ორი ცაცხვი დაჰყურებს პატარა წყაროს.

საიდანღაც გაჩნდებოდა აზარფეშა, ბავშვებისთვის ხაჭაპური, დიდებისთვის—ხილი. ფეხს გავიმართავდით, ზურგს მოვასვენებდით, ისევ ცხენს მოვახტებოდით და როცა დღე ღამეს შეეყრებოდა, ჩავიდოდით ბიძიას სოფელში.

შვიდი ოჯახის ეზო ერთმანეთზეა მიკრული... მათ შორის მხოლოდ რგვალი მინდორია დატოვებული. აქ რომ გამოვიდოდით, უკვე გავიგონებდით ეზოებიდან სიცილს, სიმღერას, ნარდისა და კამათლის ხმას... განათებული ეზოები... მისვლა მოსვლა... ერთი ეზოდან მეორეში მიმავალი... გაქანებული ეტლი გადაგველობებოდა გზაზე...

ცხოვრებდნენ, დროს ატარებდნენ... აი ბიძიას დიდი, დახურული ჭიშკარიც გაიღო... შეიქნა ძაღლების ყეფა... ხმაზე ვიცნობ ყველას: წვრილად დაიწყო ლაბაშამ, მხარი დაუჭირა ტურიამ, შემოსძახა ყურშამ, ბანი უთხრა, მავთულზე გაბმულმა ხბოის ოდენა ნაგაზმა—მურიამ და აყეფდა სხვა და სხვა ხმაზე მთელი ეზო... ჯერ კიდევ შორს არის სახლი... აივნის ჭერზე დაკიდებული ლამპის შუქი აჩენს მხოლოდ ორ ადამიანს, რომელნიც მოაჯირს მოსდგომიან და უნდათ გაიგონ, ვინა ვართ... კიბესთან დადგმული ფარნის სინათლეზე გადმოირბინა ბიჭმა, რომელიც იძახის: აქეთ, ძაღლო, აქეთ... ძაღლებმა უკვე გვიცნეს და ჩვენს ცხენებს ელაქუცებიან... რომელიც არ გვიცნობს, დაიყეფებს და გაჩუმდება... ეტყობა, რცხვენიან სხვების ზრდილობიან ქცევისა...

კიბესთან მივედით... შემოგვეგებენ მოხუცი ივანე მოურავი, სოფრომა მეჯინიბე, ანტონა, ასლანა... ცხენები ჩამოგვართვეს... კიბეზე გვხვდება მხოლოდ ბიცოლა... ბიძია ქალაქშია, ელენე სტუმრათ არის მეზობლისას... აი მანაც მოირბინა... გაუგია ჩვენი მოსვლა, თან სამიოდე ქალიშვილი და ერთი ორი ვაჟი ახლავს. სიჩქარისგან სულს ვერ ითქვამენ... ხვევნა-კოცნა... ორიოდე კითხვა-პასუხი და ვსხდებით ჩაიზე, ჩაის ვახშამი მოჰყვება, თავის უეჭველის ტოლუმბაშით, სმურებით, მრავალ-ჟამიერით და შაშვი-კაკაბით... მამლები შუაღამისას ჰყივიან... ჩვენ სუფრის მიტოვების ნებას არ გვაძლევენ, მაგრამ დედა დაბეჯითებით ამბობს:

— ნამგზავრი ვართ, დავიღალეთ... ახლა კმარა.

მასპინძელი გვანუგეშებს, ხვალ გავატაროთ უფრო მხიარულათ დროვო.

თანადა განმეორებით სვამს მასპინძლის სადღეგრძელოს, რომელიც სახლში არ ბრძანდება, უსურვებს დიასახლისს, რომ მისი შალიკო გენერლად დაბრუნებულიყოს, ყოვლად წმინდა ღვთისმშობელს მოიწვევს ოჯახის შემწედ და, როგორც არის, ვდგებით სუფრიდან.

იწყება ნადიმები, დარბაზობა, მეზობლებში... ვხვდებით მათ სტუმრებს, რომელთაც ბიძიასა პატიჟობენ. და ასე ერთმანეთში არეული, თითქოს ერთ დიდ სასტუმროში მყოფნი ვართო, არ ვიცით სად დავსხდებით სადილად და სად ავდგებით ვახშმიდან.

მოსასვენებელი გვაქვს მხოლოდ თავ-თავისი და ისიც კი იცვლება ხანდახან.

ეხლა კი სხვა იყო.

ჩვენი ეკლესიის დიაკვნიდან სამ აბაზათ დღეში დაშავებული ჯორი დავიქირავე, შევადგი ბალიშ გამოხეული უნაგირი, ავიკარ ფეხზე დეზი, შევჯექ და გზის კითხვა-კითხვით გავწიე.

ორი ცაცხვი, წყაროს რომ გადაჰყურებს, დასუსტებულა და დაჩანაკებულა...

სასეირნოთ განგებ დატოვებულ მინდორისთვის ყოველის მხრით ჩამოეკლოთ და დანარჩენი სივიწროის გამო ურმებს აეჩეხა.

ხმა არსაიდან ისმოდა.

სანთელი არ სჩანდა.

კაცი არ შემხვედრია.

მივადექ ბიძა ჩემის სახლს. არავინ გამომეგებია.

გაწყვეტილა საძაღლეთიც.

ნ. ლორთქიფანიძე.

## „ჩემი ტანისამოსია“

(პაწია ამბავი)

მარო თავის ქმრის,—გიგას. მოლოდინში იყო. აგერ ფოსტალიონმაც მოუტანა სასურველი წერილი.

— ჩემო თაფლო და შაქარო, ჩემო მარო, უკვე პოზიციიდან წამოველი, ერთი თვით დამითხოვეს, მალე მანდ ვიქნები... გამახარებ... კვირას რომ სადგურზე დამხვდე კარგს იზამ... კარგი საჩუქარი გერგება... ეხლა მე უბრალო სალდათი ხომ აღარა ვარ, პრაპორჩიკობაზე წარმადგინეს... ახლა წერილით თავს არ შეგაწყენ, მალე შენთან ვიქნები, ჩემო კარგო და დაწვრილებით ყველაფერს მაშინ გიამბობ.. შენი გიგა“.

— ნეტავ რა ფეშქეში იქნება,—ვეღარ ითმენდა მარო: ვაი თუ კარგა მითაქოს—რად შეხველი კანდუქტორადაო?!—ფიქრებში ირევოდა მარო: მერე რა ეჭვიანია!—მტრის კარს! ან არა და... ხომ ითაკილა: პრაპორჩიკის ცოლი და კონდუქტორი? არ ვიცი ღმერთმანი: თავი დავანებო თუ...?!

II

კვირა დილით მარო რომ გენახათ, ვეღარ იცნობდით: კონდუქტორის ქუდი—კარტუზის მაგივრად ფერადი შლიაპა ეხურა... კონდუქტორის ბრჭყვალა ღილებიანი ტუჟურკის მაგივრად კარსეტ-სართულიანი მხიარული კაბა ეცვა... თანაც მშვენიერი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები უმშვენებდა კოხტა ფეხებს. ეხლა იგი ჩინებული და კოპწია ქალი იყო, ნაზი არსება. ვინ იტყოდა თუ ის მოუხეშავ და უზრდელ მოხელეთა ამქარს ეკუთვნოდა?!

მარომ საჩქაროდ თავისი სამსახურის ტანისამოსი—ქუდი, პიჯაკი, ქამარი ყავისი ჩანთით კედელზე ჩამოჰკიდა და ქმრის დასახვედრად სადგურისაკენ გაეშურა.

III

ის ის იყო მარო გავიდა გარედ, რომ გიგამ შემოაღო კარი. მას ისევ ჯარის კაცის მაზარა ეცვა. ჯერ რიგიანად არც კი მიიხედ-მოიხედა, რომ თვალი შეავლო კედელზე კონდუქტორის ტანისამოს და... თითქოს მუხლები მოეკვეცა.

— ბიჭოს! ეს „კაი ამბავია“, ამას კანდუქტორიც უშოვნია... აიტანა ეჭვიანობამ გიგა. ალბად დამინახა და... პერანგის ამარა გამექცა განა?! ჰო! დედაკაცო, ვაი შენს ტყავს, თუ ხელში ჩამივარდი... არა, არა! ის ჩემი „გამაბედნიერებელი“ კანდუქტორი აქ სადმე იქმნება—მიიმალებოდა, თორემ დედიშობილა სად წავიდოდა... დახე მე სულელი! მაროსთვის რა საჩუქარი მომაქვს, ის კი ვიღაც კანდუქტორზე მცვლის... მაშ მის ტანისამოსს აქ რა უნდა?! ჰო! ომმა არა დამაკლორა, ლამის არის აქ მთლად გავვიჟდე.

IV

რამდენიმე წუთსაც არ გაუვლია, რომ გიგა ეზოში ვიღაც კაცს ეჩხუბებოდა—ზედ ვარდებოდა ბრაზ-მორევით...

— მითხარი, ვინა ხარ შენ,—ანჯღრევდა გიგა: მე ომში სისხლსა ვღვრი თქვენი გულისთვის, შენ კი ჩემ ცოლს...

არა, ღმერთი-რჯული,—ეფიცებოდა გაშტერებული კაცი: მე ჩემი ცოლისთვისაც ვერ მომივლია, სადა მაქვს სხვის თავი?!

მაშ შინ პერანგის და მის ამხანაგის ამარა რად ხარ შალ წამოსხმული თუ შენ კაი კაცი ხარ,—არა ხუმრობდა გიგა. მაინც [illegible]მაგრა დაგზელ რომ... რაც უნდა დამი[illegible]...

— გეუბნები [illegible] ნისამოსის ჩაცმა [illegible]ლარ მოვასწარ... დაიჯერე, კაცი [illegible] არა ხარ... გამოუშვი, სირცხვილი [illegible] შალი მიწაზე ნუ მომითხუპნე...

— მაშ შენ კანდუქტორი [illegible] ხარ? —არ ისვენებდა გიგა. ვისია ჩე[illegible]ხლში რომ კანდუქტორის ტანისამოსია?..

— ის შენი ცოლისაა...

— როგორ თუ ჩემი ცოლისაა, მე არა გამეგებარა,—უფრო ჯავრი მოსდიოდა გიგას: დამცინით კიდეც?!. ოჰ, მარო, ერთი შენი ჯავრი ამომაყრევინა!..

ამასობაში მეზობლებიც გამოსულიყვნენ და სეირს უყურებდნენ.

— შენ კი გენაცვალე, მოხველ მშვიდობით,—გადაეხვია მარო გიგას: სადგურზე გელოდებოდი, აქ როგორ გაჩნდი?

— შორს ჩემგან, ცბიერო,—ხელის კვრით მოიშორა გიგამ: ერთი ტყვია და შენი ჯანი...

— რათა, გენაცვ...

— ვისია, ის კანდუქტორის ტანისამოსი?..

— ჰა?!

— თქვი მეთქი...

— მაგაზე რა გაშფოთებს, ჩემია.

— როგორ?

— ნუთუ არ გაგიგია: ქალებსაც კარს გვიღებენ ტრამვაიაში...

— აი დასწყევლოს ღმერთმა ეშმაკი,—საბოდიშოდ გაუხდა გიგას აყალმაყალი: ცოტა გაწყდა, კაცი არ შემომაკვდა...

— ჩემია, ჩემი! დამშვიდდი...

— ცეცხლიმც წაჰკიდებია, კაი რომ ეგ არის... მე არა მსურს,—ან ქალი იყავ ან კაცი...

დუშელი ვანო.

## საჩუქარი ბავშვებისათვის

დღევანდელ ბედნიერ დღეს, როდესაც საწყალი კაცის ქოხშიაც სიამოვნების შუქი შეანათებს, როდესაც დაობლებულ - დამწუხრებული კერაც გაღვივდება და წუთიერად მაინც თავდავიწყებას მიეცემა, არ შეიძლება ყოველი ოჯახის გულის ყვავილთათვის არ ვურჩიოთ მშობლებს საუცხოვო საბავშვო საჩუქრის შეძენა. ეს არ გახლავთ არც უცხოელთაგან შეთვისებული „შობის ხე“, არც სხვა რომელიმე წუთიერი სათამაშო-გასართობი, რომელიც ბავშვის მოძრავსა და ცვალებადს ბუნებას ადვილად მოსწყინდება.

ეს გახლავთ მუდმივი წყარო ბავშვის სიამოვნებისა, გონივრული გართობასა, გრძნობის გაფაქიზებისა. მე მოგახსენებთ იმ პატარა მოთხრობათა კრებულზე, რომელიც ეხლახან გამოსცა ქ. შ. წ. კ. საზოგადოებამ: **მოთხრობები ეკატერინე გაბაშვილისა** (ნაწილი მეორე).

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ წერა-კითხვის საზ. გამგეობამ ამ ბოლო დროს ნამდვილ თავის შესაფერ საქმეს მოჰკიდა ხელი და საბავშვო წიგნების ბეჭვდას მოუხშირა. ჩვენი საბავშვო ლიტერატურა არც ისე ღარიბია, როგორც ბევრს ჰგონია. სამწუხარო ის არის მხოლოდ, რომ იგი სხვა და სხვა ჟურნალ-გაზეთებშია გაბნეული. სასიამოვნოა, ვიმეორებ, რომ საბავშო მოთხრობების პატარ-პატარა კრებულებად ამ ბოლო დროს მაინც დაიწყეს ბეჭდვა.

ქ-ნ ეკ. გაბაშვილის მოთხრობები სადა, მარტივი, სურათოვანი და ხალისიანი ნაწერებია. მას სიამოვნებით კითხულობს დიდიც. ეს კი უტყუარი ნიშანია, ასეთ ნაწარმოებთა დიდი ღირსებისა. წაიკითხეთ მაგ. „პროექტორში როგორღა წახვალ“, „პატარა ვაჟს“, „ხატაურმა როგორ გაიხსნილა“, „კრაზანები“, „ახალი წელიწადი“, „ბებიასეული“ და ისეთ ნაზსა და მტკბარს სიამოვნებას იგრძნობთ, როგორც მოტიტინე ბავშვის მოსმენის დროს. ამ მოთხრობებში ნათლად გამოსჭვივის ბავშვის უმანკო და სათუთი გული, მისი ფაქიზი და ნაზი მგრძნობიარობა, ხოლო გადმოცემაში კი იხატება ავტორის მახვილი ნიჭი და მხატვრული სადაობა.

ვიმეორებთ, ეს წიგნი საუკეთესო საჩუქარია ბავშვებისათვის, საჩუქარი უკვდავი და უცვალებელი, რომელიც წაუშლელ კვალს დასტოვებს ყოველ წამკითხველის გულში.

წიგნი მოზრდილი ზომისაა, მოთავსებულია 16 მოთხრობა და მხოლოდ ცხრა შაურად ღირს. წიგნი შნოიანათ არის გამოცემული, სამწუხაროდ სარჩევი კი არა აქვს.

ნ.

---

*) ეს სიტყვა მოლექსე ოდიშელის ლექსიკონიდან ვისესხე.

შოლტი.

**) რუს-იაპონიის ომის შემდეგ ერთი ჩემი კარგი ნაცნობი მოგზაურობდა.

# დავიწყებული მოვალეობა

კეკლუც და შორეულ იდეებისთვის გაცილებით თავგამოდებულნი ვართ, მისთვის ვიბრძვით და არას ვერიდებით მისის განსახორციელებლად, თუმცა დარწმუნებულნი ვართ იგივე მო[illegible] იდეები იმავ სიზმრის ფრთებით დაგვიწყებენ შორიდან პატიჟს. მახლობელი და მორიგი საკითხები კი გვავიწყდება, არა თუ საკითხები, მოვალეობა! ბუნდოვან თეორიებისთვის ენერგიის დახარჯვა და აუარებელ უნაყოფო მსხვერპლის განწირვას არ გავიხსენებთ. ეს თვალსაჩინოა, ისტორიას ჩაჰბარდა.

გავიხსენებთ თუნდა ჩვენის სამღვდელოების უკანასკნელს კრებებს. ამ კრებებზე ყოველისფერი ითქვა. არ გაგვაკვირვებია არც ის, თუ მწყურვალე სამღვდელოება არსობით პურს მოითხოვდა—ჩვენი ეკლესიის თავისუფლებას, არც ის, თუ მათი უქვეშევრდომილესი თხოვნა ჩვეულებისაებრ ბნელს არქივებში იქნებოდა ჩამარხული,—არა, დიდიხანია ყველა ამას შევეჩვიეთ, შევეჩვიეთ ისე, როგორც ეჩვევიან ჭირს, სეტყვის მოსვლას, მოუსავლობას, თუ ათას გვარს უბედურებას.

გაგვაკვირვა მხოლოდ იმ გარემოებამ, რომ ჩვენი სამღვდელოება დიდს გულმავიწყობას იჩენდა ერთი უდიდესი მოვალეობისადმი, ეს გახლავთ ისეთ პირთა დავიწყება, რომელნიც მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელს ათეულებში და მეოცის დასაწყისში ჩვენს ეკლესიას სათავეში უდგნენ და მისი ჭირ-ვარამისთვის იბრძოდნენ, ვიდრე ერთგვარი გაციმბირება არ ეღირსათ სამშობლო კერიდან მოწყვეტის სახით! როგორ, სამღვდელოება ივიწყებს დიდს კირიონს, ივიწყებს დავითს, ივიწყებს ამბროსის, რომელთაც ესეოდენი ღვაწლი მიუძღვისთ ჩვენის ეკლესიისადმი? და ესეც იმ დროს, როდესაც მთავრობა ლმობიერობის თამასუქებს იძლევა, როდესაც კროპოტკინებს ეპატიჟებიან მოსასვლელად, როდესაც ბურცევთ მოქალაქეობრივი უფლებანი უბრუნდებათ და რუსეთში თავისუფალ ცხოვრებას უზიარებენ, ნუ თუ ჩვენს მღვდელმთავართ არ შეიწყნარებენ და სამშობლო კერას არ ახილვებენ? რა დააშავეს, რომელ ჯოჯოხეთის მანქანით აუფეთქებიათ ეკლესია, რომ ჩვენიდან შორს გადასტყორცნონ? ქართველ სამღვდელოებას უმეტესად ახლა შეეძლო მოეთხოვა თავის საყვარელ მღვდელმთავართა დაბრუნება, ეხლა უფრო, ვიდრე სხვა დროს, შეუძლიანთ ხმა აღიმაღლონ დაჩრდილულ სიმართლის აღსადგენად, კეთილ მწყემსთა სამწყსოში დასაბრუნებლად. მერე ასეთ დროს, როდესაც ასე რიგად გვეჭირვება მათი გამოცდილება, მათი სიბრძნე, მათი სიტყვა, რასაც ყოველთვის ჰქონია შესაფერისი წონა, შესაფერი ღირებულება! სასურველია, რომ ქართლ-კახეთის და იმერეთის სამღვდელოებამ ერთხელ და უკანასკნელად ჩამოირეცხონ ეს სირცხვილი, ითხოვონ ერთხმად, დაბეჯითებულის თხოვნით, რომ ჩვენს ეკლესიას დაუბრუნონ საკუთარი წინამძღვარნი ჩვენთა საეკლესიო საქმეთა მოსაწესრიგებლად. უნდა დარწმუნებულნი ვიყოთ, რომ ავტოკეფალიის საკითხში ხსენებულნი მღვდელმთავარნი ნაკლებ ხელმძღვანელობას არ გაუწევენ. აღიმაღლეთ ხმა. მოითხოვეთ, და იცოდეთ, ხალხი თქვენთან იქნება, შეგიერთებსთ საკუთარს ხმასაც...

ქართლელი.

# ზემო აჭარა

სოფ. ხულოში არსებობს საგრონომიო პუნქტი. სულ ერთი წელიწადი იქნება, რაც ეს პუნქტი დაარსდა. პირველად ინსტრუქტორად დაინიშნა ბ. დიმიტრი ნაკაშიძე. იმისი შრომა ფრიად ნაყოფიერი იყო. სულ ორიოდე თვის გაიმავლობაში ადგილობრივ მკვიდრთა გული სავსებით მოინადირა. მთელი დღე დაუღალავად მუშაობდა და მარტო ოფიციალურ მიწერ-მოწერას არ სჯერდებოდა, როგორც ეს ჩვეულებად აქვთ ხოლმე ჩვენს მეურნეებს. გულს გული მალე იცნობს და ნაკაშიძესთან ხალხი მოდიოდა და მის რჩევა-დარიგებას სიამოვნებით ასრულებდა. არავის ეგონა, თუ „ბეჩი" აჭარლები რაციონალურ მეურნეობას ასე გულიანად დაეწაფებოდნენ. დიდი და ნაყოფიერი იქნებოდა ბ. ნაკაშიძის მუშაობას, რომ დასცლოდა. მაგრამ მაგარიც ის არის, რომ ჩვენში ნაყოფიერ მუშაობას მტრები მალე გამოუჩნდება და იგიც სულ უბრალო მიზეზის გამო (უფრო კი უმიზეზოდ) აქედან გააძევეს და ასტრახანის გუბერნიაში გადაასახლეს.

მის შემდეგ ორი ინსტრუქტორი დაინიშნა თოდუა და სურგულაძე, მაგრამ მათაც არ დასცალდათ რაიმე გაეკეთებინათ. უკანასკნელი მარიამობისთვეში აქედან გადაიყვანეს და ამ გვარად ნაყოფიერად დაწყებული საქმე სათავეშივე ჩაკვდა.

ეხლა, როგორც ამბობენ, საგრონომიო პუნქტის გაუქმებას ფიქრობენ, რაც სამწუხარო მოვლენად უნდა ჩაითვალოს, თუ სადმე სამართალია, საგრონომიო პუნქტი აქ უნდა არსებობდეს. ზოგიერთ დარგს მეურნეობისას აქ დიდი მომავალი აქვს და, როგორც გამოცდილებამ დაგვანახვა, ხალხიც დიდი ხალისით ეჭიდება სამეურნეო ცოდნას. აქაური ადგილმდებარეობა, ზომიერი ჰავა, უხვი სათიბი და საძოვარი ადგილები, ყვავილოვანი ველ-მინდორი საფუცხოვლოდ ხელს უწყობს მესაქონლეობას, მებადეობას და მეფუტკრეობას. განსაკუთრებით მეფუტკრეობის მომავალი აქ ეჭვს გარეშეა. ზემო-აჭარაში ბევრ ადგილას საუცხოვო ღირსების თაფლი მოდის და უხვი მოსავალიც იცის. მთა-ბარობა აქ ადვილი მოსახერხებელია, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მეფუტკრეობაში. აჭარელს ფუტკარი უყვარს, იცის იმისი ფასი; რაც უნდა ფული შეაძლიო, ნაყარს არ მოგყიდის. ამიტომაც იყო, როცა საქველ-მოქმედო საზოგადოებამ აქ მეფუტკრე აპოლონ წულაძე გამოგზავნა, ხალხი დიდი სიხარულით შეხვდა მას. უნდა გენახათ, რა ხალისით უსმენდენ მას საუბარს ფუტკრის მოვლა-მოშენების შესახებ. მთელი დღე მოსვენებას არ აძლევდნენ და ეხვეწებოდნენ მისულიყო და ენახა მათი სკები. ბევრმა იწყო ძველი გეჯებიდგან ჩარჩოიან სკებში ფუტკრის გადმოსხმა. მთელი თვე გატაცებული მუშაობდა ბ. წულაძე, მაგრამ მასაც იგივე ბედი ეწია, რაც ნაკაშიძეს: ბათუმის ოლქიდგან გააძევეს და აჭარაში ცხოვრების ნება არ მისცეს. აქამდისაც ვერ გავიგეთ, რა იყო მიზეზი წულაძის აქედგან გაძევებისა.

ხსენებული პირების დაშორებამ ხალხი ძალიან დაადონა, დღესაც მწუხარებით იგონებენ მათს გაძევებას. ამავ დროს მწარე გამოცდილებით დარწმუნებულნი არიან, რომ მათ თავის სასარგებლო და ერთგულ ადამიანს აქ არ დააყენებენ.

მეფუტკრეობის გარდა ზემო აჭარაში მესაქონლეობა განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. უმთავრესი წყარო ცხოვრებისა ამათთვის მესაქონლეობაა. მაგრამ ისიც იმავე მდგომარეობაშია, როგორც მეფუტკრეობა. აქაური ერბო, კარაქი, ყველი ძალიან მდარეა და, შედარებით, ნაკლები ფასი აქვს. აქაური ოცი ძროხა სწორედ იმდენს მოიწველის, რამდენსაც ერთი კარგი ჯიშის გერმანული ან და შვეიცარული ძროხა. ახორი სავსე ჰყავთ ნახირით, მათს მოვლა-გამოკვებაზე დიდი ხარჯი და დრო სჭირდებათ, მაგრამ სარგებლობა კი იმდენი არა აქვთ. აი, ამიტომ არის საჭირო, რომ აგრონომიულის პუნქტის მუშაობა, რაც შეიძლება, გაფართოვდეს. უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს საქონლის ჯიშის გაუმჯობესებას, უნდა მოეწყოს სხვა და სხვა კურსები, შეასწავლონ ხალხს ყველის, ერბოის და კარაქის კეთება, აგრეთვე ფუტკრის მოვლა-მოშენება, ხეხილის გაშენება და სხვა. ამ გზით ხალხის კეთილდღეობა წინ წავა, ზნეობრივად გაფაქიზდება და კულტურულად ამაღლდება.

ამიტომ სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბათომის ოლქის აგრონომი ბ. გამხარაშვილი, რომლის მეცადინეობითაც დაარსებულია ხულოს საგრონომიო პუნქტი, ყოველ ღონეს იღონებს არ დაიხუროს ეს პუნქტი, რადგან მან ყველაზე უფრო კარგად უნდა იცოდეს, რამდენად საზარალო იქნება ეს საზოგადოებისათვის. მარტო აჭარლების ინტერესი არ მოითხოვს ამას. მთელ ბათუმში სანოვაგე უმთავრესად აჭარიდგან შემოაქვთ; რამდენადაც მდიდარი იქნება აჭარა, იმდენად სავსე იქნება ბათომის ბაზარიც. ამასთანავე, ანბანური ჭეშმარიტებაა ყველასთვის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოდ ეკონომიურად ამაღლებას ხალხის კეთილდღეობისათვის. ვიმეორებთ, ხალხისა და საზოგადო ინტერესები მოითხოვს, რომ ხულოს საგრონომიო პუნქტი თავის ადგილას დარჩეს და მომავალი გაზაფხულიდგან იქ ნაყოფიერი მუშაობა გაჩაღდეს...

მოლა ეფენდი.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი


საუკეთესო კახური
ღვინის საწყობი
ადამ ზურაბის ძის
ბერელაშვილისა
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
კომერციულ ცოდნათა
კურსები
გ. მ. ფილოიანისა
ორივე სქესისთვის
(თბილისი, მიხეილის პროსპ., № 24, ტელ. № 976)
თხოვნები მიიღება: 4—5 საათ. საღამოთი. მეცადინეობა დაიწყება 15 იანვრიდან. პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში.
(20—340—4)

ქ. ბაქოში
ღვინით ვაჭრობა
„მელაანი"
თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.
იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები
(112—წ.)

პირველ ხარისხოვანი რესტორანი
კაფე პარიზი
ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.
(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის" ქვეშ)
ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია

ყოველ დღე მზადდება
საუზმე | ჩაი
სადილები | ყავა
ვახშმები | ხაჭაპური
| პიროჟკები
ევროპიულხრივი და უცხოური საჭმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით
პატივისცემით ხოლ. ს. გოგიბერია

ამხანაგობა
„კახური მეღვინეობა"
ჩუბუნიშვილისა და სონღულაშვილისა
კირკის (კიროჩნი) ქუჩა, № 12.
საკუთარ მამულებიდგან მივიღეთ საუკეთესო ღვინოები,
თეთრი და წითელი, გურჯაანიდან, ვეჯინიდან
და კახეთის სხვა ღვინით განთქმულ სოფლებიდან.

„სავაჭრო სახლი" (საწყობი)
ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
ი. ი. გველესიანისა
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
ისყიდება პარტიობით ყოველნაირი საგალანტერეიო საქონელი:
ხუდქეულობა, ქოლგები, თეთრეულობა, ვიშივკები, კოსმეტიკა და სხვა და სხვა ახალმოდის საქონლები ხელმისაწვდომ ფასებში სხვა და სხვა სოფლის კოოპერატივებისთვის.
(101—წ.)

Открыта подписка на 1917 г.
(Годъ изданія девятый)
На ежедневную газету
„ЗАКАВКАЗСКАЯ РѢЧЬ"
Подписная цѣна съ доставкой и пересылкой: на одинъ годъ 15 р. на полгода 8 р., на одинъ мѣс. 1 р. 50 к.
Для годовыхъ подписчиковъ допускается разсрочка: при подпискѣ 5 р., 1-го апрѣля 5 р., 1-го Іюля 5 р.
За границу—ВДВОЕ ДОРОЖЕ.
Плата за объявленія: строка петита впереди текста 20 коп., послѣ текста 15 к., Извѣщенія о зрѣлищахъ впереди текста—30 к., Перемѣна адреса съ городского на иногородный 75 коп., съ иногороднаго на иногородный 50 коп. Объявленія внѣ предѣла Кавказа впереди текста 30 к., позади—15 коп.
Подписка принимается съ 1-го по 1-ое число каждаго мѣсяца.
Подписка марками не принимается.
Контора газ. „Закавказская Рѣчь" открыта отъ 10—2 ч. дня и 7—8 ч. веч.
АДРЕСЪ: Тифлисъ, редакція газеты „Закавказская Рѣчь", Дворцовая ул. д. Д. З. Сараджева, для телег. Тифлисъ „Закавказская Рѣчь".
Траурныя объявленія принимаются въ конторѣ редакціи до 3 ч. дня по 6 р., послѣ 3 час. въ типографіи «Сорапанъ» [Мадатовскій островъ № 1) на 1 р. дороже.
Редакторъ Кн. К. П. Тумановъ.
Издатель Э. Д. Горделадзе.

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლის
სალიტერატურო, საპოლიტიკო და სამეცნიერო ჟურნალ
„ცხოვრება"-ზე
წელიწადი მეხამე
რომელიც გამოვა ორ კვირაში ერთხელ, რომანოზ სპ. ფანცხავას რედაქტორობით. ჟურნალში თანამშრომლობენ საუკეთესო სალიტერატურო ძალები.
წლიურად ჟურნალი ეღირება 6 მ., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ., სამი თვით 1 მ. 75 კ. წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეუძლიათ ხელის მოწერის დროს 3 მ., პირველ აპრილს 2 მ. და პირველ ივნისს 1 მ. ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Кутаисъ Роману Спиридоновичу Паницхава.

1917 წ. მიიღებ ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
„ნაკადულ"-ზე
წელიწადი მეთორმეტე
ჟურნალი „ნაკადული" გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.
ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ
24 წიგნი „ნაკადული"-სა მცირე წლოვანთათვის. 12 წიგნი „ნაკადული"-სა მოზრდილთათვის.
ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი
ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი 3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.
დაწვრილებით ჟურნალში. რედაქტორი ნინო ნაკაშიძე
გამომცემელი თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.
(291—5)

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლალიძის და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის ნამდვილი სამკურნალო წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების ყალბი ეტიკეტების მიმსგავსებით ნამდვილი ლალიძის წყლის ეტიკეტის ნიშანი შემდეგია




ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო სამრეწველო მინისტრის მიერ პეტროგრადში ¢ თვით პრობკებსაც აწერია
„ლალიძის წყალი"
მხოლოდ და მარტო ლალიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე
სუნი და გემოც საამური აქვს
წლ.

ვინც იტანჯება ათაშანგით
(სიფილისით)
ურჩევთ იხმარონ ცნობილი საშუალება
პრეპარატი
„IODOSTARIN" (იოდოსტარინ)
მთელი კურსის ფასი 30 მ., 1/2 კურსის ფასი 16 მ., 1/4 კურსის ფასი 8 მ. 50.
ქალაქს გარეშეებს ეგზავნებათ ხუთი მანეთის ბეის მიღების შემდეგ.
შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ რ. ი. შმიდტან, თბილისი, თხინვალის ქ., № 12, გოლოვინის პროსპექტის და მამადავითის ქუჩის ახლო. Тифлисъ, Тхинвальская, № 12, отд. 1—2.

სარინსოვკა პროფესორ ტარნოვსკისა
(შესაზნაპუნებელი)
და სუსპენზორიები, მივიღეთ
I და II ხარისხისა, დიდძალი პარტია, ვაჭრობა ბითუმად და წვრილად. ფასები შესაზნაპუნებლისა ბითუმად I ხარისხისა დუჟინი 9 მან. 50 კ., II ხარისხისა 7 მან. 50 კ. სუსპენზორიების ფასი: ბითუმად დუჟინი 7 მან. 50 კ.
მიმართეთ შესაკვეთად: რ. ი. შმიდტს, თბილისი, თხინვალის ქუჩა, № 12. მისამართი: Тифлисъ, Тхинвальская ул. № 12, отд. 1—7, Р. И. ШМИДТЪ.
ქალაქის გარედ აფთიაქებს და ვაჭრებს გაეგზავნებათ 5 მანეთის ბეს მიღების შემდეგ.

თევზის მრეწველნი
ძმ. მეზველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-ძმით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შაპ „მეშოხნი" ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის შამაიები მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.




სტამბა „ცხოვრება" ა. კალანდაძისა, გაზაფის შესახვევი № 4